საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 12 სექტემბერი. 2017 წ. №185 (8322), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დემოკრატია თუ დიქტატურა

სააკაშვილი – ჰიტლერის პოლიტიკური ნაბიჭვარი

ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში შეგპირდით, რომ კვირას, 10 სექტემბერს, დიდი სანახაობა მოგველოდა, რომ უკეთეს გასართობ სპექტაკლს თუ შოუს, ალბათ, ჯერ არ მოვსწრებივართო და ყველას ეკრანებთან გიწვევდით.

მაგრამ კვირას რაც პოლონეთისა და უკრაინის საზღვარზე ვნახეთ, როგორც იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ, როცა ჰიტლერის ჩათოფიარაღებულმა ჯარმა დაარღვია სსრ კავშირის, კერძოდ, უკრაინის საზღვარი და კიევისკენ გაიჭრა, ვიღაც-ვიღაც მამაძაღლთაგან და დედაძაღლთაგან ზღვარდაუდებლად გავირთამამებული, პოლიტიკურად გაბითურებული, ძებნილი სააკაშვილი მეორე „დამპყრობელია“, ვინც უჯაროდ, მაგრამ ნაყიდ მხარდამჭერთა „ლაშქრით“ ცოლ-შვილაფარებული პოლონეთიდან მიადგა უკრაინის საზღვარს და მთელი კვირა დღე მართლაც გაუგონარი პოლიტიკური შოუს მომსწრე გაგვხადა.

ამ პოლიტიკური ტაკიმასხარის, სააკაშვილის თავხედობას, თავგასულობასა თუ თავაგდებულობას თითქოს არ უნდა გავეკვირვებინეთ, მაგრამ კვირას სააკაშვილის შოუმ გაგვაკვირვა კი არა, ალბათ, რაიმე ახალი სიტყვის (კომპოზიტის) მოგონება დაგვჭირდება მთელი ამ ფრიად და ფრიად სამარცხვინო მოვლენის შესაფასებლად.

თავისმა ქვეყანამ, როგორც სახელმწიფო დამნაშავეს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, სრულიად კანონიერად, საქართველოს მოქალაქეობა გაუუქმა, მეგობარი ქვეყნის – უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ, პირდაპირ უნდა ითქვას, პატივი არ სცა ასევე მეგობარი ქვეყნის საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას და გულში „ჩაიხუტა“, როგორც დიდი რეფორმატორი და ქართული სახელმწიფოს

შემქმნელი, სინამდვილეში კვაჭი კვაჭანტირაძისა და ოსტაპ ბენდერზე ათი თავით მეტი თაღლითი და ყალთაბანდი, კიდევ უფრო მეტი პროვოკატორი და დემაგოგი სააკაშვილი, თანაც მარტო კი არა, თავის ერთგულ, თავისავით თითლიბაზ ადამიანებთან ერთად, რომელთაც ახლა უკრაინაში მოინდომეს ხელისუფლების სათავეში მოქცევა და თავიანთ მატრაბაზ თავკაცთან ერთად უკრაინის ოპოზიციის მხარდამჭერი პოლიტიკური მოძრაობაც კი შექმნეს პოროშენკოსათვის ძირის გამოსათხრელად. ერთი სიტყვით, უკრაინის ოპოზიციის გაჟანადარკებულმა, ნახევრად უკრაინელმა ტიმოშენკოს ქალმა სწორედ სააკაშვილთან ერთად დაუპირა პოროშენკოს თავისი გამარყუჟებული ნაწნავით ჩამოხრჩობა.

და აი, მთელი 10 სექტემბერი ტიმოშენკო თავისი ოპოზიციური ლაშქრით გვერდიდან არ მოშორებია ნამეგობრალ პოროშენკოსგან ბოლოს და ბოლოს პანღურამოკრულ სააკაშვილს, რომელმაც ახლოს არ გაიკარა ჩვენი ქართული ტელეარხების „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კორესპონდენტები, როგორც ივანიშვილის აგენტები და „ცრუსთავი-2“-ის ჟურნალისტის სახედაკარგული კორესპონდენტების (თამარ ბაღაშვილისა და ნათია ტრაპაიძის) საშუალებით მთელი დღე თავს იწონებდა ქართველი მაყურებლის წინაშე, როგორც პოროშენკოს წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის რაინდი.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ პრეზიდენტ პოროშენკოზე, რომელიც შოკოლადივით დაუტკბა თავის დროზე სააკაანთ ბიჭს, ნამდვილად ახია, რაც ამ მზაკვარმა კაცმა დამართა, ისევე როგორც ჩვენი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე, რომელიც თავის დროზე შემწყნარებლურად ეკოჰაბიტაციავა, იმის მაგივრად, რომ საკადრისი მიეზღო ამ სალახანისთვის.

ხოლო ისევ პირსისხლიან ადოლფს თუ გავიხსენებთ, რომელიც პირდაპირ კიევისკენ გაიჭრა, მიშამ თავისი სულიერი მამის შეუპოვრობით გეზი ლვოვისკენ აიღო. თუ ყველაფერი კანონიერების მიხედვით წარიმართა, ეს გეზი ქართული სასამართლოს გავლით გლდანის ციხისკენ არის მიმართული.

სანამ კაცთმოძულე ჰიტლერს სააკაშვილისთანა პოლიტიკური ნაბიჭვრები აცოცხლებენ, მშვიდი ცხოვრების იმედი ნამდვილად არ უნდა გვქონდეს.

შემირცხვენია ისეთი დემოკრატია, რომელიც ასეთ ცუდ კაცებს ამდენ ხანს აბოგინებს და მოსვენებას უკარგავს ხალხს!

გურამ წიკლაური

სარიუშ ვოლსკი სრულიად შეგნებულად ავრცელებს საქართველოს საწინააღმდეგო ინფორმაციას!

3

რატომ „იკლავს თავს“ მიშა უკრაინისთვის?!

როგორ ცხოვრობდა „ღარიბი“ სააკაშვილი მეორე (თუ პირველ) სამშობლოში?

3

8

„ტიმოშენკო და სააკაშვილი თანამდებობებს ინაწილებენ“...

დემურ გიორხელიძე: ...რატომ უნდა ვუყუროთ ამ არშემდგარი პარტიების სალაყბოს?!

4

თბილისელებს „სითი პარკი“ ყელში ამოუვიდათ!

6

დღის ამონარიდი

– როგორც ჩანს, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ქარიშხლიანი პოლიტიკოსის ირმას ამბოხებული სულის ამბავმა ამერიკის კონტინენტსაც მიაღწია და ამიტომ ამერიკელებმა ბოლო 25 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი ქარიშხალი **ირმად** მონათლეს.

და გრიალებს ფლორიდაში **ირმა,** ლამის წაიღოს იქაურობა! თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნება 17 სექტემბერს თბილისში, აქ რა ამბებს დაატრიალებს ეს ქარიშხალი-პოლიტიკოსი ირმა ინაშვილი!

პეტრო პოროშენკო: მნიშვნელობა არა აქვს, საზღვარი ვინ დაარღვია – უკანონო მებრძოლებმა აღმოსავლეთში თუ პოლიტიკანებმა დასავლეთში!

უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით სააკაშვილთან დაკავშირებული სიტუაცია პოლიტიკურ კომენტარებს არ საჭიროებს და უკრაინა მოქმედებს მხოლოდ სამართლებრივ სივრცეში.

„ჩადენილია დანაშაული, დარღვეულია კონსტიტუციური პრინციპი – საზღვრის ხელშეუხებლობა“, – აცხადებს პოროშენკო. მისივე თქმით, არ არის მნიშვნელოვანი ვინ დაარღვია საზღვარი – უკანონო მებრძოლებმა აღმოსავლეთში თუ პოლიტიკანებმა დასავლეთში. მისი თქმით, სააკაშვილს შეეძლო მოქალაქეობის დაკარგვის საკითხი უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გაესაჩივრებინა.

„არ მოსწონს უკრაინის სასამართლოს გადაწყვეტილება? მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“, – აცხადებს პოროშენკო. მისივე თქმით, ინციდენტში გაერკვევიან სამართალდამცველები და მათ ეს საქმე უკვე დაიწყეს.

გამოძიება უკვე დაიწყო!

მიხეილ სააკაშვილისა და მისი მხარდამჭერების მიერ უკრაინის საზღვრის გარღვევის ფაქტზე ლვოვის პოლიციამ გამოძიება დაიწყო, – ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის პოლიციის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

გამოძიება სახელმწიფო საზღვარზე პირების უკანონოდ გადაყვანის მუხლითაა დაწყებული, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

უკრაინის პოლიციის ინფორმაციით, საზღვარზე მასობრივი არეულობის შედეგად პოლიციის 11 თანამშრომელია დაშავებული. ამასთან, ძალოვან უწყებაში განმარტავენ, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის“ 332-ე მუხლის გარდა, რაც სახელმწიფო საზღვარზე პირების უკანონოდ გადაყვანას გულისხმობს, 10 სექტემბრის მოვლენები ასევე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 348-ე მუხლის დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს.

... ამით რუსი შოვინისტები ისარგებლებენ!

ყველა, ვინც უკანონოდ გადმოკვეთა უკრაინის საზღვარი, მათ შორის მიხეილ სააკაშვილი, უნდა გამოცხადდნენ საკონტროლო-გამშვებ პუნქტ შეგინიში, სახელწიფო საემიგრაციო სამსახურში დოკუმენტების გასაფორმებლად, – ამის შესახებ უკრაინის შს მინისტრი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„საღამოს ჩვენ აღარ გადაგვისროლია პოლიციის ქვედანაყოფები კრაკოვეციდან შეგინიში, რადგან კრაკოვეცში დაპირისპირებულ ადამიანებს შორის კონფლიქტის გაჩაღების ალბათობა დიდი იყო. მთელი ის პერიოდი, როდესაც სააკაშვილი მეგობრებთან ერთად საზრლვართან აქეთ-იქით დადიოდა, მატარებლის იდიოტური ისტორიით და „გარღვევის“ სხვადასხვა მარშრუტებით – მხოლოდ ერთ რამეზე ვდარდობდი – ძალადობრივ პროვოკაციაზე და მე აპატრიდის სტატუსი ნაკლებად მაღელვებდა. მის ამბავს სასამართლო გაარკვევს. ჩემთვის მთავარი იყო, არ დამეშვა ძალისმიერი დაპირისპირება და სისხლისღვრა. პროვოკაცია მაინც შედგა, თუმცა სისხლი არ დაღვრილა და ეს კარგია. თუმცა ამის ფასი ძალიან მაღალია“ – წერს ავაკოვი. მისივე თქმით, საზღვარზე შეჭრა ინსტიტუციონალიზმის მოშლაა.

„ეს ფუნდამენტის მოშლაა. იმ ფუნდამენტის, რომელზეც ვაშენებთ ქვეყანას, მიუხედავად ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფისა და ხელისუფლებისა. თუ ეს ფუნდამენტი ნებისმიერი მიზეზით მოირღვევა, ჩვენ სახელმწიფო აღარ ვიქნებით. ვიქნებით ადამიანების ჯოგი, რომლებიც უნიჭოდ ცხოვრობენ რაღაც ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ დროის ამბავი იქნება, როდის ისარგებლებენ ამით რუსი შოვინისტები ან ევროპელი ნაციონალისტები“ – წერს ავაკოვი.

მისივე თქმით, საზღვრის შტურმით აღება უკანონო იყო, რომლის დროსაც გახარებულმა დეპუტატებმა ქვეყანაში უკანონოდ 40 ადამიანი მოიყვანეს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილი და მისი მეგობრები. ავაკოვის ინფორმაციით, შტურმის დროს დაშავდა 16 სამართალდამცავი.

ტიმოშენკოზე და კიდევ ოთხ დეპუტატზე შესაძლოა, საქმე აღიძრას

უკრაინის პარლამენტის წევრის და შს მინისტრის მრჩევლის ანატოლი გერაშენკოს განცხადებით, ბატკიუშინას ლიდერმა და მასთან ერთად კიდევ ოთხმა დეპუტატმა სააკაშვილთან ერთად უკრაინის სახელმწიფოს საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეს.

„პროვოკატორ სააკაშვილთან ერთად უკრაინის სახელმწოფოს საზღვარი გადაკვეთეს შემდეგმა დეპუტატებმა: იულია ტიმოშენკომ, სერგეი ვლასენკომ, იური ბერევიანკომ, პეველ კოსტენკომ, დიმიტრი დობროდომოვმა“, – წერს გერაშენკო საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე.

მისივე თქმით, სადეპუტატო უფლებამოსილება სისხლის სამართლის დანაშაულზე – საზღვრის უკანონო გადალახვა – არ ვრცელდება. როგორც გერაშენკო წერს, უკანონოდ საზღვარი ასევე გადმოლახა უშიშროების საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ვალენტინ ნალივაიჩენკომ. მისივე თქმით, დანარჩენი მოქალაქეების ვინაობა დგინდება და კანონის წინაშე ისინი პასუხს აგებენ.

„ტროას ცხენი“ თავისთან შეათრიეს!

უკრაინის საზღვარზე გუშინ განვითარებულ მოვლენებს მმართველი გუნდის წევრები ეხმაურებიან.

გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებაა, ყველა სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალება გამოიყენოს, რათა ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პასუხისგებაში მიეცეს. მისივე თქმით, უკრაინის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა თავის დროზე დაუშვა შეცდომა, როცა ეს „ტროას ცხენი“ თავისთან შეათრია და მის ავანტიურისტულ საქმიანობას ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა.

დავით კეზერაშვილი ყაჩაღობით ნაშოვნი ფულით აფინანსებს „ევროპულ საქართველოს“...

ამის შესახებ ენმ-ის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ „TVპირველის“ ეთერში განაცხადა. მისივე თქმით, დავით კეზერაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ სირცხვილი იყო.

„არ მაქვს მორალური უფლება ვაკრიტიკო ფარცხალაძე სამართლიანად, როდესაც ვიცი, რომ მილიონებს შოულობს, რადგან ასევე ვიცი, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ წლების წინათ იყო დავით კეზერაშვილი, რომელმაც სრულიად გაურკვევლად – ყაჩაღობით, ქურდობით და ძარცვით იშოვა მილიონები, ახლა კი ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ „ევროპულ საქართველოს“ აფინანსებს.

დავით კეზერაშვილი და კიდევ სხვა ადამიანები იყვნენ სირცხვილი „ნაციონალური მოძრაობის“ და ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას დავით კეზერაშვილისნაირ ადამიანებზე. საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობებით იშოვა მილიონები? – როცა ის ფინანსურ პოლიციაში მუშაობდა, ძარცვავდა ხალხს ისევე, როგორც ფარცხალაძე ძარცვავს დღეს მთელ საქართველოს“, – განაცხადა მელიამ და დასძინა, რომ ენმ სრულიად განახლებული პარტიაა.

◎ ცხელ გულზე

კიტრი...

აჰა, საზაფხულო არდადეგებიც მიაიმასქნა და ეს ჩვენი მაწანწალა-თუხუცესი, ოკეანისგაღმელ პატრონთაგან ზურგგამაგრებული და დაიმედებული, ახალი სცენარით წარდგა ბედკრული სამშობლოების (დიახ, ის ხომ განსაკუთრებული მასშტაბის, ფართო დიაპაზონის მოღვაწე – ბომჟია და ერთი სამშობლო როგორ დაიტევს მის ტალანტს!) წინაშე.

თანაც, ხომ გსმენიათ, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო – პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე სააღდგომო გოჭივით გაფიჟვინებულ ნიკალაევიჩს, ბევრ სხვა თავისნაირთან ერთად, მხარს თვით კობა ჯამბაზი (უკაცრავად – ხაბაზი) უმშვენებდა, ეს კი, დამეთანხმებით, ლვოვში დიდებით შესვლის წინაპირობა იყო. აკი, ასეც მოხდა. მაშ, რა გეგონათ?!

სხვათა შორის, ამ ჩვენმა დედალმაშომ და ჩვარმა სა-პიაროდაც მოიცალა და დიდი სტრატეგიული ნიჭით კიდევ ერთხელ გაგვაოცა, როცა დეპუტატებთან, თანამემამულეებთან, ბატალიონ „დონბასის“ მშვიდობისმყვარე წევრებთან და ჟურნალისტებთან ერთად საკუთარი ოჯახის წარმომადგენლებიც აიფარა ლელვის ფოთლებად და ისინი, პრაქტიკულად, გასაწირად გაიმეტა – რა გარანტია ჰქონდა, რომ რომელიმე ტვინნაღრძობი პროვოკაციის მიზნით „უმანკო“ სანდრას ან უმრწემეს ნიკუშას რაიმე ფარსაგს არ დამართებდა?

ზემოთ ჩვენი კოლეგები ვახსენე და ჩაროზად მიხეილ დავრდომილს (რა თქმა უნდა, გონებრივად) ერთ კითხვას დავუსვამ: რატომ აყენებ შეურაცხყოფას მის უდიდებულესობა კიტრს, როცა „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტებს პირდაპირ ეთერში ეუბნები: თქვენ ისეთივე თავისუფალი მედია ხართ, როგორიც მე კიტრიო.

...იმდენი არ მოახერხო, ამ დალოცვილი ბოსტნეულის პატივსაცემად, მისივე სინონიმად – ფალოსად არ მოგნათლონ – აღნაგობა არ გიწყობს ხელს თუ რა?..

გია პლატონიშვილი

11 სექტემბრის ტერაქტებიდან 16 წელი გავიდა

გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში თავდასხმების შედეგად დაღუპულებს იხსენებდნენ.

ტრადიციულად, სამგლოვიარო ღონისძიება გაიმართა ნიუ-იორკში, 11 სექტემბრის მემორიალთან. ცერემონიის დროს დაღუპულებს ექვსჯერ მიაგეს პატივი წუთიერი დუმილით და ხმამაღლა წაიკითხეს ტერაქტების დროს დაღუპულების სახელები.

ღამით იმ ადგილას, სადაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები იდგა, ორი ცისფერი ინსტალაცია განათდა. სხივები, რომლებიც ტყუპი ცათამბჯენების სიმბოლოა, ცაში 6,5 კილომეტრის სიმაღლეზე აიჭრა.

2001 წლის 11 სექტემბერს „ალ-ქაიდას“ 19-მა ტერორისტმა ოთხი სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს. ორი მათგანი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენებს შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე შენობა ჩამოინგრა. მესამე თვითმფრინავი პენტაგონის შენობას შეეჯახა, მეოთხე ავიალაინერი, რომელიც ვაშინგტონისკენ მიემართებოდა, პენსილვანიის შტატში ქალაქ შანკსვილთან ჩამოვარდა. ტერაქტების სერიას სამი ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა.

სარიუშ ვოლსკი სრულიად შეგნებულად ავრცელებს საქართველოს საწინააღმდეგო ინფორმაციას!

ევროპარლამენტის დეპუტატმა ბატონმა ვოლსკიმ (ჩვენს ვოლსკში არ შეგეშალოთ), დღეს, ტვ „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას, რომ მან უკანონოდ ჩამოართვა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა.

რამდენადაც ჩვენი საზოგადოებისთვის უტყუარად ცნობილია, სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა გაუუქმდა პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებით. და ეს მოხდა ავტომატურად, მას შემდეგ, როცა მან მოითხოვა და მიიღო უკრაინის მოქალაქეობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ევროპარლამენტის დეპუტატი ვოლსკი ან შეცდომაშია შეყვანილი(?), ან აშკარად ტყუის(!).

პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ვოლსკი, იმდენად აქტიურად არის ჩართული მ. სააკაშვილის ბოლოდროინდელ პოლიტიკურ აქციებში, რომ შეუძლებელია, ღრმად არ იყოს ინფორმირებული საქმის არსში, მაგრამ პოლიტიკური თუ „სხვა“ კონიუნქტურის გამო, ის სრულიად შეგნებულად ავრცელებს მცდარ, საქართველოს საწინააღმდეგო და რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას.

არადიპლომატიურ ენაზე ბატონ ვოლსკის ამ ქმედებას სიცრუის შეგნებულად გავრცელება, ანუ, ტირაჟირება ჰქვია და, აქედან გამომდინარე, თუკი გავაანალიზებთ რატომ და რა ვითარებაში თქვა (გაავრცელა) ეს სიცრუე ევროპარლამენტის დეპუტატმა, შეგვიძლია უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ ბატონი ვოლსკი გახლავთ **პროვოკატორი!**

ზემოთქმულის გათვალისწინებით პროვოკატორ ვოლსკის საქციელს და მის საჯარო განცხადებას უნდა მიეცეს შესაბამისი შეფასება, რასაც უნდა მოჰყვეს ადეკვატური რეაქცია, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, ისევე, როგორც ევროპარლამენტში საქართველოს დელეგაციის მხრიდან.

და ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, რამეთუ პროვოკატორ ვოლსკის ამ განცხადების მიზანი, არ გახლავთ უბრალო „ენის მოფხანა“. იგი გამიზნულია უკრაინის დესტაბილიზაციისკენ და, სრულებით არ არის გამორიცხული, რომ უკრაინაში არეულობამ შესაძლოა, ავტომატურად გამოიწვიოს ვითარების ამღვრევა საქართველოში. და სწორედ ეს იყოს დეპუტატ ვოლსკის და მისნაირი ტიპაჟის მიზანიც.

ვინაიდან ასეთი პროვოკაციული განცხადებები იშვიათი როდია ევროსტრუქტურების ზოგიერთი გავლენიანი ჩინოსნის და ევროპოლიტიკოსის მხრიდან (უნგრეთის პრემიერი ორბანი, ევროკავშირის ელჩი ზალბერი და სხვ.), მოვლენათა განვითარების ბუნდოვანი (ეგებ, სახიფათო) პერსპექტივაც მოითხოვს შესაბამის ქმედებას და არა „ენის მოჩლექვას“ და სირაქლემის პოზიციის დაკავებას.

ახლა ბურთი ჩვენს მაღალჩინოსანთა მოედანზეა.

ნუგზარ ფოფხაძე

რატომ „იკლავს თავს“ მიშა უკრაინისთვის?!

საქართველოდან წამოღებული მილიონები სააკაშვილმა უკრაინაში მალევე გაამრავლა. ანტიკორუფციული აურზაურის ატეხით უკრაინელ ბიზნესმენებს ატერორებდა. გენპროკურატურაში მთავარ კურატორად და რუხ კარდინალად დაინიშნა ზურაბ ადეიშვილი, რომელიც საქართველოში მძიმე დანაშაულებისთვის იძებნება. ჯანდაცვის მინისტრად ალექსანდრე კვიტაშვილი მოგვევლინა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ – ეკა ზღულაძე, უკრაინის გენპროკურორის მოადგილედ – დავით საყვარელიძე, იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ – გია გეწაძე, სახელმწიფო სარეგისტრაციო სამსახურის ხელმძღვანელად – ჯაბა ებანოიძე, ხოლო მის მოადგილედ გიორგი წიკლაური, სახელმწიფო აღსრულების სამსახურის ხელმძღვანელად – ხატია შელია, როვნოს ოლქის გუბერნატორის მოადგილედ – ილია ღლონტი.

სააკაშვილის კადრებს მრავალათასიანი ხელფასები დაუნიშნეს გაღატაკებული უკრაინული ბიუჯეტიდან, თუმცა სწორედ ეს ხალხი მოგვევლინა ფარული კორუფციის სათავეში.

ქალბატონი ზღულაძე აკონტროლებდა უკრაინის პოლიციას და პასუხს აგებდა რეფორმებზე. პოლიციის რეფორმატორი საფრანგეთში გამგზავრებისას, ბორისპოლის აეროპორტში დააკავეს 7 მილიონი დოლარი ნაღდი ფულით; თუმცა „ზემოდან“ ზარის შემდეგ გაათავისუფლეს. კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვას ხელმძღვანელობდა; სწორედ ეს დაეხმარა მიშას მეუღლე სანდრა რულოვსს ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნაში. ორგანოებამოცლილი ჩვენი ბიჭების გვამებს დღესაც პოულობენ კრემატორსკის სასაფლაოზე. როგორც ექსპერტები ამბობენ, სააკაშვილის ოჯახმა ორგანოებით ვაჭრობით 100 მილიონ დოლარზე მეტი იშოვა.

თუმცა ყველაზე დიდი შემოსავალი სააკაშვილს

როგორ ცხოვრობდა „ღარიბი“ სააკაშვილი მეორე (თუ პირველ) სამშობლოში?

ოდესის პორტისა და საბაჟოს მითვისებამ მოუტანა. ოდესის გუბერნატორის კაბინეტთან უშველებელი რიგები დადგა ადამიანებისა, ვისაც მიშას ფრთებს ქვეშ შეფარება სურდა. დანარჩენ კომერსანტებს კორუფციონერის იარლიყს აწებებდნენ და სამართალდამცავები დასდევდნენ. ამ ხერხებით ნაშოვნი მილიონები იგზავნებოდა ოფშორულ ზონებში, სააკაშვილის მეგობრების – დავით ბეჟუაშვილისა და დავით კეზერაშვილის კომპანიების ანგარიშებზე.

ჩვენმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს, როგორ ცხოვრობდა და გადაადგილდებოდა უკრაინის ტერიტორიაზე სააკაშვილი.

ამ შენობაში ჰქონდა სააკაშვილს ბინა. კიევის ცენტრში 350 კვ.მ ფართის ფეშენებელურ აპარტამენტში 8 ოთახია. ინტერიერი ეგვიპტურ სტილშია გაწყობილი მოოქროვილი კოლონებით. ეს ბინა მიშას „ძველმა“ მეგობარმა და „საფულემ“ დავით ბეჟუაშვილმა უყიდა.

სააკაშვილის ორგიებზე უკრაინაში ყველას სმენია. მშვენიერი უკრაინელი გოგონები, ამ შენობიდან მდიდრული საჩუქრებით გამოდიოდნენ – ბრილიანტის ბეჭდებითა და ბრენდული საათებით ხელდამშვენებულები. ნარკოტიკებით გართობამ თავისი ქნა.

მიშა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს „Fairmont Grand Hotel“-ის მუდმივ სტუმრად იქცა. ავაკოვი ამ სასტუმროში გადაღებულ კადრებს დესერტად ინახავს.

როგორც ქართველებს სჩვევიათ, მიშას გემრიელად ჭამაც უყვარს. დედაქალაქის რესტორნებში მას ხშირად ხედავდნენ. ლევ ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე რესტორან „გოგის“ მუდმივი კლიენტიდან, მალე მფლობელად მოგვევლინა, დავით კეზერაშვილის „დახმარებით“. არაერთხელ შეუმჩნევიათ რესტორან „კანაპაში“, რომელიც ცნობილ ბიზნესმენ დიმა ბორისოვსა და მუსიკოს ოლეგ სკრიპკას ეკუთვნით; თუმცა ეს რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია.

რითი გადაადგილდებოდა? სააკაშვილმა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ შევსებულ დეკლარაციაში მიუთითა, რომ ფლობს 2010 წლის გამოშვების ავტომანქანა „Skoda Superb“-ს.

თუმცა ფოტოკორესპონდენტები კორუფციასთან მებრძოლს უფრო ხშირად ბრონირებულ ჯიპ „Toyota Land Cruiser“-ით მოსეირნეს ხედავდნენ. ეს მანქანა გაფორმებული იყო ექსპრეზიდენტის მცველის კუთვნილ ფირმაზე, თუმცა მიხო კიევში ყოფნისას მას რეგულარულად იყენებდა. ხოლო კონსპირაციისთვის ხალხმრავალ ადგილებში, მიტინგებზე და სახელმწიფო დაწესებულებასთან უბრალო „შკოდაში“ ჯდებოდა და რამდენიმე კვარტლის მოშორებით გადადიოდა კომფორტულ ჯიპში.

ამა წლის აპრილში მიშა შეამჩნიეს ახალ „Lexus GX460“-ში, რომელიც გარეგანი შეფასებით 2010-11 წლების მოდელს მიეკუთვნება და მისი ფასი მილიონ 300 ათასი გრივნაა. იყო კიდევ ვერცხლისფერი „ლექსუსი“ და სედანი „Mercedes 3Mersedes S6„ AMG“ (4,4 მილიონ გრივნა), ეს მანქანაც დავით ბეჟუაშვილის საჩუქარია.

უკვე მოქალაქეობაჩამორთმეული სააკაშვილი დააფიქსირეს მოძრაობის წესების უხეში დარღვევისას. მიშას ჯიპმა წითელ შუქზე გაიარა და საგზაო ნიშნის უგულებელყოფით მარცხნივ შეუხვია. ასეთი შემთხვევები ათასობითაა დაფიქსირებული.

მიხეილ სააკაშვილის „გმირობებს“ უკრაინაში თვლა არა აქვს...

სერგეი მიკოლაევიჩ კირნიკი

wikileaks, http://reportiori.ge

...რატომ უნდა ვუყუროთ ამ არშემდგარი პარტიების სალაყბოს?!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მორიგი დისკუსია და დებატები საშემოდგომო სესიის ფარგლებში გაიმართება; სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორს საშუალება ექნება, თვალი მიადევნონ ამ პროცესს და მონაწილეობა მიიღონ მესამე მოსმენის ფარგლებში გამართულ დისკუსიაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საკონსტიტუციო ცვლილებებზე მესამე მოსმენის ფარგლებში გასამართ დისკუსიაში არასამთავრობო სექტორის ჩართვის საჭიროებას ვერ ხედავს და აცხადებს, რომ მესამე მოსმენის დროს მხოლოდ რედაქციული ტიპის ცვლილებების შეტანაა შესაძლებელი და დისკუსიაში არასამთავრობო სექტორის მიწვევით ხელისუფლება ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

— მათ, ისევე როგორც ჩვენც, გვინდა ასეთი სერიოზული დოკუმენტი კონსენსუსით მიიღონ. კონსენსუსის შეუძლებლობა გაპირობა ჩვენი ოპონენტების დაუოკებელმა სურვილმა, რომ როგორმე შეინარჩუნონ პოზიცია პოლიტიკურ ველზე და ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ ისე, რომ უმრავლესობა არ ჰქონდეთ მოპოვებული. ვენეციის კომისიას რომ ჰქონდეს შენიშვნები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ამ თემას შესაძლებელია დავუბრუნდეთ ბევრჯერ და ჩაღრმავებულად ვისაუბროთ... კატეგორიულად არ ვეთანხმები, რომ ეს პროცესი დაჩქარებულად მიმდინარეობს. ნახევარ წელზე მეტია, ამ საკითხების განხილვა მიმდინარეობს. არის ქვეყნის ინტერესები და არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საკუთარ ინტერესებს აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე მაღლა, — აცხადებს ამ ყველაფერთან დაკავშირებით უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვოლსკი.

რა ინტერესები იკვეთება პროცესში, რომელიც უკვე აბსურდის თეატრს დაემსგავსა — ამ თემაზე ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** გვესაუბრება.

— როგორც მოქალაქეებმა, ყოველგვარი სიმპათია-ანტიპათიის გარეშე რომ შევაფასოთ მთელი ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, რომ მართლაც აბსურდულია. ყოველ შემთხვევაში, არ ქმნის იმ კონსტრუქციას, კონსტიტუციის სახით, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება საყრდენი ქართული სახელმწიფოსი.

პოლიტიკური ინტერესების დონეზე საკუთარ თარგზე მოჭრა კონსტიტუციებისა, არის ძალიან მძიმე შედეგის მომტანი და ჩვენ ეს ვნახეთ. მთავარი შეცდომა ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისა არის ვენეციის კომისიის გაფეტიშება და მათგან თანხმობის მიღებისა ყველაფერზე, რასაც ისინი ითხოვენ, მაგრამ ვენეციის კომისიას და ბუკიკოს რა ხელი აქვს საქართველოს კონსტიტუციასთან?!

ხელისუფლების შეცდომა ის არის, რომ ეს არ იყო მხოლოდ კონსტიტუციური უმრავლესობის საქმე. ეს უნდა იყოს ფართო, პოლიტიკური შეთანხმების შედეგი, რადგან თუ კონსტიტუციაზე არ არსებობს პოლიტიკური თანხმობა, ვენეციის კომისიის მოთხოვნები ჩანს უსუსური პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან რაღაც საყრდენების ძებნად იქ, სადაც საყრდენები არ არსებობს.

— ანუ საკონსტიტუციო პროცესი, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან არასწორად წარიმართა?

— ერთის შეცდომაა ის, რომ უმრავლესობაშია და რასაც უნდა იმას აკეთებს და მეორის ის, რომ ვერ ერევა ხელისუფლებას, რადგან თვითონ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს.

რაკი ქვეყანაში არ არსებობს დაბალანსებული პოლიტიკური ძალები, რომლებიც ერთმანეთს ანგარიშს გაუწევენ და ანგარიშის არგაწევის შემთხვევაში ყველაფერი ცუდად დამთავრდება, ჩვენ ვიღებთ იმას, რომ ხელისუფლება, რაკი უმრავლესობაშია, იგნორირებას უკეთებს პოლიტიკურ სპექტრს, რადგან კარგად იცის, რომ მისგან არაფერი არ ემუქრება.

ყველაზე დიდი პრეტენზია სააკაშვილის მიმართ არის ის, რომ მან პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც დაფხრიწა კონსტიტუცია, რომელიც 1995 წელს, ურთულეს პირობებში, უდიდესი პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად იყო მიღებული.

რა თქმა უნდა, იმ კონსტიტუციას ორი სერიოზული დეფექტი ჰქონდა — არ იყო გამოკვეთილი მთავრობის და, ასევე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები, სხვა მხრივ ის იყო ძალიან კარგად დაბალანსებული კონსტიტუცია, სადაც პრეზიდენტის ხელისუფლებისა და პარლამენტის ძალაუფლებები 50/50-ზე იყო — მათ კრიზისულ სიტუაციებში ერთმანეთის ბლოკირება შეეძლოთ და ასეც მოხდა 2001 წელს, როდესაც პარლამენტის პოლიტიკურმა ძალებმა შეძლეს უდიდესი კრიზისის თავიდან აცილება და ბალანსის მიღწევა.

დღეს ასეთი მყარი კონსტრუქციის დანახვა შეუძლებელია; მეორე მხრივ, ოპოზიციური ძალების არასწორმა მოთხოვნებმაც კიდევ უარესი სურათი შექმნა.

— რა იგულისხმება ოპოზიციის არასწორ მოთხოვნებში?

— ჯერ ერთი, 2020 წელს შევა ძალაში თუ 2024 წელს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ქვეყნისთვის, მთავარია, იყოს ის კონსტრუქცია, რომელსაც ქვეყნის კონსტიტუცია ჰქვია.

როდესაც შენ შენი ინტერესების შესაბამის ულტიმატუმებს უყენებ, თანაც სუსტი ხარ, არ შეგიძლია ულტიმატუმის ბოლომდე მიყვანა. ნახეთ 30 პოლიტიკური პარტია ერთად ზის და ერთ მშვიდობიან დემონსტრაციას ვერ აკეთებენ, რომ აჩვენონ საზოგადოების განწყობა ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ.

საზოგადოებას არ სჯერა იმ პროცესისა, რომელიც წმინდა სატელევიზიო პროცესია. თითქოსდა, პოლიტიკური პარტიები დასხდებიან, ხელისუფლებას რაღაცას სთხოვენ, მაგრამ მათ უკან ძალა არ არსებობს.

— არასამთავრობო სექტორიც აკრიტიკებს მთელ ამ პროცესს და თითქოს უკმაყოფილოა, განხილვებში რომ ვერ ჩაერთვება...

— საკონსტიტუციო პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობა აბსოლუტურად უადგილოა იმიტომ, რომ როდესაც პოლიტიკური პარტიები კონსტიტუციასთან დაკავშირებით კონსენსუსს აღწევენ, ეს პოლიტიკური პარტიები საკუთარ ამომრჩეველს ეყრდნობიან — საზოგადოება იქ თავისთავად ჩართულია. ამიტომ, მესამე სექტორის უსუსური განცხადებები კონსტიტუციას სრულიად არ ჭირდება. მათ აქვთ უფლება, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ მსოფლიოში არსად არ ხდება, რომ მესამე სექტორი, როგორც მხარე, ამ პროცესში მონაწილეობდეს.

ყველაზე დიდი მხარე აქ არის საზოგადოება და მესამე სექტორი არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ზედმეტი პრივილეგია არ გააჩნია. პოლიტიკური პარტიები ცოტა სხვა წარმონაქმნია, რომელსაც პოლიტიკურ პროცესზე უდიდესი გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. ეს ვერ ხერხდება.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში არ არსებობს კონსტიტუციის მისაღებად საჭირო სიძლიერის პოლიტიკური სპექტრი, მაგრამ უმრავლესობა აცხადებს, და ამას ყველა ეთანხმება, რომ კონსტიტუცია, რომლითაც ვცხოვრობდით, იყო გაუმართავი. კონსტიტუციონალისტებმა მასზე ბევრი იმუშავეს და საბოლოოდ მივიღეთ სამართლებრივად გასწორებული დოკუმენტი...

— კონსტიტუციონალისტები იმ დოზით უნდა ჩაერთონ, რომ კონსტიტუცია იურიდიულად მოიყვანონ წესრიგში მას შემდეგ, რაც პოლიტიკური კონსენსუსი იქნება. კონსტიტუციონალისტების საქმე არ არის კონსტრუქციის შექმნა. ისინი იურისტები არიან და პროფესიული თვალსაზრისით უნდა გამართონ დოკუმენტი, მაგრამ კონსტიტუციას იღებენ პოლიტიკური პარტიების შეთანხმების შედეგად საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესის გათვალისწინებით.

ჩვენ ეს ფუნდამენტი არ გვაქვს, ცხადია, 2010 წლის კონსტიტუცია უვარგისი იყო, ისევე, როგორც 2004 წლის, რომელიც მოარგეს იმ რევოლუციურ სიტუაციას. დღევანდელი კონსტიტუციური ცვლილებებიც არაფერს ცვლის, იგი არ ქმნის პოლიტიკური თამაშის წესებს, სისტემას, რომელშიც გრძელვადიან პერსპექტივაში ვიცხოვრებთ.

ᲕᲘᲜᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ, ᲠᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲚᲐᲛᲘᲡ 250 ᲬᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲫᲔᲑᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲔᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐᲪ. ᲞᲘᲠᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ.

— თქვენც აღნიშნეთ და ვენეციის კომისიის ერთადერთი შენიშვნაც ის არის, რომ საჭიროა კონსენსუსი. როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი პოლიტიკური სპექტრის კონსენსუსი?

— ვერ გამოდის ეს კონსენსუსი იმიტომ, რომ კლასიკური გაგებით პოლიტიკური პარტიები ვერ ჩამოყალიბდნენ, რომლის უკან საზოგადოების ნაწილი იქნება — თითოეულ პარტიას ეყოლება თავისი ამომრჩეველი, ანუ ძალა. პოლიტიკაში ანგარიში შეიძლება გაეწიოს მხოლოდ ძალას. ის, რაც არ არის ძალისმიერი, ანუ როცა პოლიტიკური ორგანიზაციის უკან პოლიტიკური ძალა არ დგას, რომელსაც შეუძლია შენს მცდარ ნაბიჯებზე მკაცრი რეაგირება მოახდინოს და პრობლემები შეგიქმნას, ვიღებთ იმგვარ სიტუაციას, რაც გვაქვს დღეს.

პოლიტიკური პარტიები არის მხოლოდ ნიუსებში და ტელევიზიაში ატეხილი ხმაური, რომ ვიღაცეები სადღაც იკრიბებიან, პროტესტს გამოთქვამენ და ა.შ.

რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია რაღაც საკითხი დასვას და გაიტანოს, ანდა მას ანგარიში გაეწიოს, არ არსებობს. პოლიტიკური თვალსაზრისით ხელისუფლება სარგებლობს თავისი მდგომარეობით და არაშორსმჭვრეტელურად იქცევა.

— „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მონათესავე პარტიების განცხადებებით, ამ კონსტიტუციის მიღებით ქვეყანა ჩიხში შედის, ევროპისკენ მიმავალ გზას იჭრის და ა.შ. გამომდინარე მათი განცხადებებიდან, რამდენად ობიექტურად ფასდება არსებული სიტუაცია?

— „ნაციონალური მოძრაობის“ ეს განცხადებები რბილად რომ ვთქვა — არასერიოზულია, ხისტად რომ ვთქვა — სასაცილოა. ჯერ ერთი, არავინ ევროპისკენ მიმავალ გზას არ იჭრის, ასეთი განცადებები არის უსუსური და პოლიტიკურად არშემდგარი.

რაც შეეხება ნაციონალთა პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ქვეყანას თავზე დაამხო კონსტიტუცია, სამართალი და ყველაფერი, არ მგონია, რომ მის განცხადებებს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

— ხელისუფლებამ რომ გაითვალისწინოს ოპოზიციის მოთხოვნები, ყველა, ვინც ხმაურობს, კმაყოფილი დარჩება და პრობლემაც ამოიწურება?

— დავუშვათ და, გაითვალისწინა ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნა... რატომ უნდა ვუყუროთ ამ არშემდგარი პარტიებით დაკომპლექტებულ პარლამენტს, რომელსაც ამ მოწყობაში არაფერი გამაწონასწორებელი არ ექნება და მთელ საკანონმდებლო ბერკეტს ხელში ჩაიგდებენ?! რატომ უნდა ვუყუროთ ამ წარმომადგენლებს, როდესაც არ არის რეგიონული ინტერესები, არ არის სახელმწიფო ინტერესები?

პარტიული ინტერესების დომინირება, როდესაც გამაწონასწორებელი და შემაკავებელი არაფერია, შეცდომაა. ამიტომ არის ოპოზიცია მცდარი თავის მოთხოვნებში.

პარლამენტში მოხვედრა უდიდესი პასუხისმგებლობა და უდიდესი შრომაა. ეს არ არის რომელიღაც ჯგუფების კეთილდღეობისთვის მოსახვედრი ადგილი. ისეთი პარტიებით იქნება დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც განმკითხავი არავინ ეყოლება.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

სანდრო ბრეგაძე ტრაგიკომედიურ შოუს დგამს!

„ქართული მარში“ საპროტესტო აქციებს, მთავრობის ადმინისტრაციის პიკეტირებას და 500-კაციან „სასიკვდილო შიმშილობას“ აანონსებს. სანდრო ბრეგაძის განცხადებით, „ქართული მარში“ დღეს გამაფრთხილებელ აქციას ჩაატარებს.

დღეს, 18:00 საათზე, რუსთაველის მეტროდან მსვლელობა დაიწყება „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ოფისისკენ, სადაც აქცია ჩატარდება. ამის შემდეგ მსვლელობით გადავინაცვლებთ კახა კალაძის წინასაარჩევნო შტაბთან და მოვახდენთ მის პიკეტირებას. ხელისუფლებამ ჩაიდინა ავაზაკობა, პირობა დაარღვია. ახლა მოტყუებით ცდილობს საკუთარი შეხედულებით გასცეს მიწა უცხოელებზე. ჩვენ ღალატში ვადანაშაულებთ ირაკლი კობახიძეს, არჩილ თალაკვაძეს, ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელს ვანო ზარდიაშვილს, ასევე მამუკა მდინარაძეს, დავით საგანელიძეს.

ჩვენი ზომები იქნება რადიკალური. ერთი კვირის განმავლობაში დავგეგმავთ აქციას აღმაშენებლის გამზირიდან მთავრობის ადმინისტრაციამდე, სადაც შენობის პიკეტირებას მოვახდენთ, არ შევუშვებთ მინისტრებს და 500-კაციან სასიკვდილო შიმშილობას დავიწყებთ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ კალაძე მოწინააღმდეგეა მიწის გასხვისების უცხოელებზე. ხვალ გასამართ აქციაზე ჩვენ შევეცდებით გავესაუბროთ კალაძეს და თუ ასეა, მაშინ მან ღიად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევეცდებით არჩევნების ჩაშლას, რათა „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ არ მოატყუოს ქართველი ხალხი, — განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

ეროვნული გმირი ღირსეულად დავაფასოთ!

ჟიული შარტავას სახლი იყიდება!

ჟიული შარტავას გმირობის მაგალითი საუკუნეებს გადასწვდება. ის ჭეშმარიტად გახლავთ ჩვენი უახლესი ისტორიის გამორჩეული ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე საქართველოს ერთიანობას შესწირა. გვიჩვენა თავგანწირვისა და უდრეკობის მაგალითი.



რატომ არიან ქართველები სულით ძლიერები – მხოლოდ იმიტომ, რომ ლომგულთა მხრებზე ვდგავართ. ჩვენი მხრები და სიძლიერე სწორედ ჟიული შარტავას მსგავსი ადამიანები გახლავთ.

სენაკში, მის მშობლიურ ქალაქში არსებობს ჟ. შარტავას სახელობის მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ერთ მომცრო ოთახში, სადად გამოფენილია ძირითადად მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოების ერთი ნაწილი. სხვა ნივთიერი და საყოფაცხოვრებო მასალების განთავსების საშუალება იქ, პრაქტიკულად, არ არსებობს. ეს მაშინ, როცა სენაკის ცენტრში დგას მშობლიური ორსართულიანი კაპიტალური სახლი, სადაც ტრიალებს მისი სული და აჩრდილი, სადაც დღემდე დაცულია მრავალი საყოფაცხოვრებო ნივთი თუ მასალა, რომელიც მოელის მზრუნველის ყურადღებას, რომ ის თვალხილული გახდეს მნახველთათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის.

თუმცა ამ სახლს ახლა აწერია – „იყიდება“!..

ეს ფაქტი მიჩენს მწარე სინანულს, რომ ეს სახლი გახდება ვინმე კერძო პირის კუთვნილება, რომელიც დაშლის ან გადააკეთებს მას და როგორც ჩვენი ბუმბერაზი არტისტის აკაკი ხორავას სახლს სამწუხაროდ, თავის დროზე არ უპატრონა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და გასხვისდა, ასევე დავკარგავთ, შარტავას სახლსაც!

ჟიული შარტავას მუზეუმი შესაქმნელი არ არის. მადლობა ხელისუფლებას, რომ ის არსებობს. შესასყიდია სახლი და მუზეუმი გადასატანია იქ, სადაც დაიბადა, გაიზარდა, ისწავლა და დავაჟკაცდა ქართველთა ეროვნული გმირი.

ვთხოვ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოსთვის თავგანწირული ჟიული შარტავას ხსოვნა, გავერთიანდეთ, ვთხოვოთ კულტურის სამინისტროს და სამხარეო ადმინისტრაციას, წილობრივად მოხდეს შარტავების სახლის შეძენა, სადაც ჟიულის გარდა ცხოვრობდნენ შესანიშნავი ადამიანები: გმირის მამა, ღირსების ორდენოსანი კალისტრატე შარტავა, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, გმირი დედა ფენია დარასელია-შარტავა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ჯანმრთელობაზე მზრუნველი ცნობილი ექიმი, გმირის და ცისანა შარტავა, უკეთილშობილესი ვაჟკაცი, გმირის ძმა სოსო შარტავა...

შევიძინოთ ეს სახლ-კარი და გავაფართოვოთ ჟიული შარტავას სახლ-მუზეუმი!



ბორის დავითაია,
სენაკიდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

იფ, იფ, იფ!

ქვიშხეთის გვირაბის მშენებლობაზე მომუშავე ჩინელებმა ქართული გვარები მიიღეს!

ძართველი დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ უცხოელთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უნდა გართულდეს. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ სულ უფრო მეტ უცხოელს გაუჩნდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სურვილი, რაც მათ შენგენის ქვეყნებში უპრობლემოდ გადაადგილების მიზნით ესაჭიროებათ. ეს კი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩასული უცხოელებისთვის ხელსაყრელია დასავლეთში მათ მიმართ გამკაცრებული კანონების ფონზე.

მავანთა სურვილმა, გახდნენ საქართველოს მოქალაქეები, ტერორიზმის საფრთხის რისკი გაამძაფრა. ამ თემას გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაციაც, სადაც აღნიშნეს, რომ მზარდია იმ პირთა რიცხვი, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობა და, თუ 1 სექტემბრამდე პრეზიდენტის მიერ მოქალაქეობის მინიჭება ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა კიდევ მეტი სიფრთხილის გამოჩენა და საზოგადოების წევრთა ჩართულობა მოქალაქეობის მინიჭების პროცესში.

დემოგრაფი **ავთანდილ სულაბერიძე** For.ge-სთან საუბარში ვიზალიბერალიზაციის მინიჭების პერიპეტიებს იხსენებს, როცა იმთავითვე გამოთქვამდა მოსაზრებას საშიშროების შესახებ, რომ ბევრი უცხოელი შემოვიდოდა საქართველოში მოქალაქეობის მიღების სურვილით ყალბი, ფიქტიური ხელმოწერებით. ეს კი მათ შენგენის ზონის ქვეყნებში შესასვლელად სჭირდებოდათ.

მისივე თქმით, მართალია, სტატისტიკის სამსახური არ გვაწვდის ინფორმაციას, რამდენით იმატა საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა რაოდენობამ, მაგრამ თუნდაც ქვიშხეთის გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულ ჩინელთა მაგალითზე აშკარაა, რომ, ჩინელებს ფიქტიური ხელმოწერით, თუ ნამდვილი ხელმოწერით, ქართული გვარები მიუღიათ. შეიძლება ეს იყოს 5-6-10 ჩინელი, მაგრამ ესეც ბევრია ჩვენთვის. თუკი საქართველოს ერთ რეგიონში ხდება ასეთი რამ, ჩვენი ქვეყნის სხვა ტერიტორიაზეც იგივე მოხდება.

„ბევრმა ჩინელმა მიიღო ქართული გვარი. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ, აქ დასახლდნენ, შემდეგ ევროკავშირშიც შევიდნენ ჩვენი საბუთებით. ადამიანები იოლ გამოსავალს ეძებენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში ძალზე გაადვილებული იყო მოქალაქეობის მიღება. ვიცავდით კი ჩვენს კონსტიტუციას და ვთხოვდით კი რომელიმე უცხოელს საქართველოს ისტორიის, ქართული ენის ცოდნას? ჩვენ თვითონვე არ ვუფრთხილდებით ჩვენს კონსტიტუციას და სახელმწიფოს. ტერორიზმის მიგრანტ ქვეყნად შეიძლება გადაიქცეს საქართველო. ამიტომ, რაც უფრო გამკაცრდება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭება და დავაფასებთ ჩვენს პასპორტს თუ მოქალაქეობას, უფრო მეტი წონა გვექნება მსოფლიოში“, – აცხადებს ავთანდილ სულაბერიძე და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გამკაცრებას მოითხოვს.

– 1990 წლის შემდეგ დაწესებული გვაქვს „ქართვლის დედის“ წოდება. ეს საკითხი ბიუჯეტშიც შეტანილია, რომ ხუთ და მეტშვილიან დედას უნდა მიენიჭოს ეს წოდება, მაგრამ ვერ ვახორციელებთ, რადგან ფურცელზეა დაწერილი. ამ დროს დებულებაში გვეწერა, რომ ეს ჯილდო მიეცემა დედას, რომელმაც გაზარდა ხუთი და მეტი შვილი და მისი ოჯახის ყველა წევრმა იცის სახელმწიფო ენა. ჩვენ ყველას ჩამოვურიგეთ საქართველოს მოქალაქეობა და ამ ადამიანებს ამ ხნის მანძილზე ხომ უნდა ესწავლათ ქართული ენა? ვისი გვრცხვენია, ეს ევროკავშირმა უნდა გვითხრას? ჩადით ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, საკუთარი ენის იგნორირებას თუ ახდენენ და უფრთხილდებიან თუ არა სახელმწიფო ენას. ამიტომ მოქალაქეობის მინიჭების საკითხი უნდა გამყარდეს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ცოდნით.

თუ რა არის საქართველოს მოქალაქეობაში ასე მიმზიდველი და რა საფრთხეს შეიცავს ჩვენი მოქალაქეობის მიღების მსურველთა მზარდი ნაკადი, ამის შესახებ For.ge-ს დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** ესაუბრა. მისი თქმით, უცხოელების მთავარი მოტივი საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას ქართული მიწის ჩალის ფასად შეძენაა. დემოგრაფის განმარტებით, ჩვენ ეკონომიკურად ღარიბი ქვეყანა ვართ, აქ მიწა იაფი ღირს. ამიტომ ყველა, ვინც აქ ცხოვრობდა და საქართველოდან წავიდა, ცდილობს, ქართული მიწა იყიდოს. ასეთები კი ძალზე ბევრნი არიან – სომხები, ებრაელები. ჯერ კიდევ 1970 წელს საქართველოში 55 ათასი ებრაელი იყო. ახლა დარჩენილია 1045 ებრაელი. გარდა ამისა, ჩვენში ძალზე იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური სიტუაცია. ასე რომ, გარეთ მცხოვრებნი ფიქრობენ, რომ ჩვენთან იაფად ნაყიდი მიწები რეზერვში ექნებათ.

– ომი რომ ატყდეს ახლო აღმოსავლეთში, აქ გადმოვლენ; მიწებს გარდა, ბინებს იძენენ, თბილისში უამრავი ბინაა აშენებული. ამიტომაც სჭირდებათ ჩვენი მოქალაქეობა, ორმაგი მოქალაქეობა. ეს უმტკივნეულოდ არ ჩაივლის და ტერორიზმის მხრივაც სახიფათოა. ჩვენთან ისტორიულად ცხოვრობდნენ ბერძნები, აზერბაიჯანელები, სომხები, ესენი მიდიან და ურთიერთობის დამყარება უკვე გვიწევს სრულიად ახალ ხალხთან. ინდოელებით, თურქებით გაივსო საქართველო, „კარფურში“ რომ შევდივარ, ყოველი მესამე აფრიკელი, პაკისტანელი, არაბი, ინდოელია. ასეთ პირობებში ქართველს გაუძნელდება ცხოვრება. უცხოელებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომ მიიღონ ჩვენი მოქალაქეობა. ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ისედაც პროგნოზირებადი იყო, რომ საქართველოს მოქალაქეობას ბევრი უცხოელი ისურვებდა. საქართველოს მოქალაქეობის მიღება უნდა გამკაცრდეს, ამ საკითხში საზოგადოების ჩართულობა არ არის საკმარისი, შესაბამისი კანონები უნდა იქნეს მიღებული. შეიძლება, უცხოელმა ქართული ენა არ იცოდეს, მაგრამ საქართველოს წინაშე დამსახურებისთვის მიენიჭოს ჩვენი მოქალაქეობა. თუმცა ასეთი ერთი-ორი ადამიანი იქნება, – აცხადებს ანზორ თოთაძე, რომლის აზრითაც, დღევანდელი ხელისუფლება ეროვნულად მოაზროვნეა და მან სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის (უცხოელებისთვის ჩვენი მოქალაქეობის „უპრაგონოდ“ მინიჭების) გამოსწორება უნდა იტვირთოს.

მანანა ნოზაძე

თბილისელებს „სითი პარკი“ ყელში ამოუვიდათ!

მერობის კანდიდატები მას ყველა მხრიდან თავს ესხმიან...

„სითი პარკს“ სახელისუფლებო კანდიდატიც დაემუქრა, ოპოზიცია კი პირდაპირ მის გაშვებაზე საუბრობს. თუკი მერობის მსურველთა დაპირება სანახევროდ მაინც შესრულდა, წესით „სითი პარკს“ დიდი დღე არ უნდა ეწეროს. ყველა კანდიდატი პარკირების კომპანიას ერთხმად უტევს.

მმართველი გუნდის მერობის კანდიდატის კახა კალაძის თქმით, შეიქმნება პირობები იმისთვის, რომ სამომავლოდ, პარკირების მომსახურება უშუალოდ მუნიციპალური სამსახურის მიერ განხორციელდეს. პარალელურად ამუშავდება ჯარიმების სამართლიანი სისტემაც.

„საცობების განტვირთვის მიზნით შეიქმნება სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მუდმივ რეჟიმში მოხდება თბილისის ქუჩების მონიტორინგი, გადატვირთული წერტილების გამოვლენა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების დასახვა.

გარდა ამისა, განხორციელდება მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები. მოწესრიგდება პარკირება და მოეწყობა მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგები, ამუშავდება ჯარიმების სამართლიანი სისტემა. მერიას ამ მიმართულებით სამუშაოები ჩატარებული აქვს და სრული სურათი გვაქვს, თუ რამდენი მიწისქვეშა პარკინგი უნდა მოეწყოს. არჩევნების შემდეგ აუცილებლად დავიწყებთ ამ პროექტის განხორციელებას. ყველა პირობა შეიქმნება, რომ პარკირების სისტემა უშუალოდ მუნიციპალური სამსახურის მიერ განხორციელდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„სითი პარკმა“ იმდენად შეაძულა თავი მოსახლეობას, რომ მერობის ყველა კანდიდატი მისი ქალაქიდან მოშორების პირობას იძლევა. დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ მისი მერობის შემთხვევაში პირველი საკითხი, რასაც ხელს მოაწერს, „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების გაწყვეტა იქნება. არსებობს მექანიზმი, რომლითაც კომპანიის გაშვება ძალიან იაფად მოხდება.

მერობის კანდიდატი „შენების მოძრაობიდან“ თენგიზ შერგელაშვილიც მზადაა გამარჯვების შემთხვევაში ურთიერთობა გაწყვიტოს პარკირების კომპანიასთან.

„ჩვენ შევთავაზებთ კომპანია „სითი პარკს“ კონკრეტულ პირობებს, რომელიც ორმხრივად მომგებიანი იქნება, როგორც თბილისელებისთვის ისე კომპანიისთვისაც. ამის შემდეგ „სითი პარკი“ ან ჩაეწერება ქალაქის სატრანსპორტო განვითარების ჩვენ მიერ შემუშავებულ გეგმაში, ან მასთან გავწყვეტთ სახელშეკრულებო ურთიერთობებს, თუნდაც ეს მრავალწლიან საარბიტრაჟო დავასთან და გარკვეულ ფინანსურ რისკებთან იყოს დაკავშირებული“, – აღნიშნა შერგელაშვილმა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატიც კი პირობას იძლევა, რომ მისი მერად არჩევის შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი საკითხი „სითი პარკის“ ამ ქალაქიდან მოშორება იქნება.

„ყოველდღიურად არასწორი პარკირებისთვის ათეულობით თბილისელის მანქანა გადაჰყავთ „სითი პარკის“ საჯარიმოზე, თუმცა არავის აქვს პასუხი თუ როგორ უნდა შეძლოს მოქალაქემ დაპარკინგება ქალაქში, სადაც არც ერთი პარკირება არ არსებობს. იმის ნაცვლად, რომ ამ კომპანიას დედაქალაქში საპარკინგე ინფრასტრუქტურა მოეწესრიგებინა, შემოვიდა მხოლოდ ერთი ფუნჯით და საღებავით და უბრალოდ დახაზა ქუჩები. ამის შემდეგ კი ის თბილისელებისგან იღებს მილიონობით ბეგარას.

ძალიან დიდი შეცდომა იყო წინა ხელისუფლების, რომელმაც ასეთი კაბალური ხელშეკრულება გაუფორმა „სითი პარკს“ 2024 წლამდე, ხოლო მოქმედმა ხელისუფლებამ კომფორტულად გადაიბარა ურთიერთობა ამ კომპანიასთან. ჩემი თბილისის მერად არჩევის შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი საკითხი „სითი პარკის“ ამ ქალაქიდან ჩამოშორება იქნება. მოვნახავ ინვესტორს, რომელიც ვალდებული იქნება მოაწესრიგოს საპარკინგე ინფრასტრუქტურა“, – აცხადებს ზაალ უდუმაშვილი.

„სითი პარკი“ ასეთი შემოტევის ფონზე გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებს. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ლევან ტაბიძე აცხადებს, რომ ორგანიზაცია ხელშეკრულების მიხედვით, კანონის სრული დაცვით მოქმედებს.

„ხელშეკრულებას ორი მხარე ჰყავს, ამ შემთხვევაში – მერია და კომპანია „სითი პარკი“. შესაბამისად, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ცალმხრივად მოხდება, ამას კომპანიის მხრიდან მოჰყვება ნაბიჯები, სამართლებრივი დავა. მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვით“, – განუცხადა „კომერსანტს“ტაბიძემ და ხაზი გაუსვა, რომ ხელშეკრულება თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის 2024 წლამდეა გაფორმებული.

რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქის მერმა **დავით ნარმანიამ** მერობის სამი წელი შეაჯამა და შეუსრულებელ დაპირებებზეც ისაუბრა. მათ შორის, „სითი პარკი“ და მერია კვლავ მოურიგებელ მხარეებად დაასახელა.

„ჩემი დაპირება არ ყოფილა, რომ „სითი პარკთან“ ხელშეკრულებას გავწყვეტდი. ვიცოდი, რომ რთულ და კომპლექსურ საკითხს ვეჯახებოდი. მოქალაქეებს დავპირდი, რომ საკითხს შევისწავლიდი და ხელშეკრულება გადაიხედებოდა. ხელშეკრულების გადახედვასთან დაკავშირებით პროექტი ჩვენი მხრიდან მზად არის. მათ შევთავაზეთ კიდეც. „სითი პარკის“ წარმომადგენლებთან ჩემს სათათბიროში რამდენიმე ხმაურიანი შეხვედრაც მქონდა, მაგრამ მათი მხრიდან არც ერთი ქმედითი და საპასუხო ნაბიჯი არ იქნა შემოთავაზებული. ჩვენ დღემდე მოურიგებელ მხარეებად ვრჩებით“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

გეჭა დანელია

◎ მთავარი პრობლემა

ბანკებსა და მიკროსაფინანსოებს მიწის გაყიდვა ვერ აუკრძალეს!

ხელისუფლება მიწის გაყიდვაზე მის მიერვე დაწესებული მორატორიუმის დარღვევას აპირებს. ახალი ინიციატივით უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატმა პარლამენტს მიმართა, რომლის მიხედვითაც, გარკვეულ შემთხვევებში მთავრობას უცხოელებისთვის მიწის გასხვისების შესაძლებლობა მიეცემა. ამ უფლებით მინისტრთა კაბინეტი საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლამდე ისარგებლებს.

პარლამენტის წევრების - დავით მათიკაშვილის, ანრი ოხანაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ეკა ბესელიას, ივლიანე წულაიასა და ვანო ზარდიაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს, ეხება კანონპროექტებს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენის შეჩერების შესახებ დადგენილი მორატორიუმი გარდამავალ ეტაპზე არ გავრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება წარმოეშობათ საბანკო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ ვალდებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან 2 წლის ვადაში გაასხვისონ ის შესაბამის უფლებამოსილ პირზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვისაგან კომერციული ბანკების გარდა, შესაძლოა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც გათავისუფლდნენ.

„ეს ყველა იმ ბანკზე ვრცელდება, სადაც უცხოური მონაწილეობა – უცხოური ინვესტიცია და უცხოური კაპიტალია. ასევე გავიზიარეთ შეთავაზება, რომ ეს შეღავათი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც გავრცელდეს იმ დათქმით, რომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ერთი წლის ვადაში, მას შესაბამის უფლებამოსილ პირზე – საქართველოს მოქალაქეზე გაასხვისებენ.

რაც შეეხება მიწებზე დაწესებული შეზღუდვის მოხსნას „განსაკუთრებულ შემთხვევებთან“ მიმართებით, ეს ყოველდღიური, ჩვეულებრივი შემთხვევა არ იქნება. კანონში დაგეგმილი ცვლილებები იმას ნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს საგამონაკლისო შემთხვევა და მთავრობამ გადაწყვეტილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს.

შესაძლოა, რაღაც ინვესტიცია ხორციელდებოდეს და ამ ინვესტიციის განხორციელებისთვის საჭირო იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელისთვის გადაცემა, სადაც საქართველოს მოქალაქეები დასაქმდებიან და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. გარდა ამისა, არიან საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც აღარ არიან საქართველოს მოქალაქეები და პირობითად, მათ აქვთ სურვილი, შეიძინონ წინაპრების ადგილი ან სურთ, საქართველოში 2 ჰექტარზე ჰქონდეთ სოფლის მეურნეობა. ესეც განსაკუთრებული შემთხვევაა და მათ შეეძლებათ მთავრობას მიმართონ“, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ანრი ოხანაშვილმა.

მთავრობა ახალ ინიციატივას მხარს უჭერს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის თქმით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები საჭიროა იმისთვის, რომ მთავრობის პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით იყოს ქმედითი.

– ეს არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ ბანკებმა მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო მიწის გირაოში აღება და თავიანთი ფუნქციების სრულყოფილად შესრულება. ყველა კომერციული ბანკის სტრუქტურა არის საერთაშორისო, თუმცა ეს არის ქართული ინსტიტუციები და საუბარია იმაზე, რომ მათ დროებით გამოიყენონ მიწა, რის შემდეგაც მათ ისევე, როგორც სხვა პირებს, უჩნდებათ ვალდებულება, რომ მიწა გასხვისდეს საქართველოს მოქალაქეებზე. შესაბამისად, ეს არის დაზუსტება იმისთვის, რომ სწორად განვახორციელოთ მიწის პოლიტიკა, – განაცხადა დავითაშვილმა.

დანიელ ბეჭაური

ვენის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი სარფში დააკავეს

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლი „სარფის“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად ვენის ინტერპოლის მიერ 2016 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, 1963 წელს დაბადებული ი.კ. დააკავეს.

დაკავებულს ბრალი ედება ავსტრიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 83, 99, 105, 107 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სხეულის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დასამყარებლად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

ამჟამად ი.კ.-ს მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.



◎ წიგნებით სავსე თაროზე

გიგი ხორნაულის ხვავიანი შემოდგომა...

დიდი ხანია მოვლიე სიყმაწვილე, მაგრამ იმდროინდელი შთაბეჭდილებებიდან ბევრი რამ ცხოვლად შემორჩა მეხსიერებას, განსაკუთრებით – სათავგადასავლო ლიტერატურა. დღევანდელივით მახსოვს ჯიმ კორბეტისა და კენეტ ანდერსონის მონადირული წიგნების კითხვით მოგვრილი სიამოვნება. „კუმაონის კაციჭამიები“, „ტაძრის ვეფხვი“, „შავი ავაზა შივანიპალიდან“... ავტორებთან ერთად მივყვებოდი დაჭრილი ვეფხვის ნაკვალევს და ჩემი სიცოცხლე მონადირის გონიერებასა და მოხერხებულობაზე იყო მინდობილი.

ყოველთვის ვნატრობდი წიგნებად აკინძულ ქართულ მონადირეულ ლიტერატურას. კი, გვქონდა რაღაც-რაღაც, მაგალითად ანდრო ლომიძის მშვენიერი მოთხრობები ნადირობაზე, კიდევ სხვაც, მაგრამ ეს „ის“ მაინც არ იყო. მოგვიანებით „გარღვევა“ მოხდა. დაიწყო მონკავშირის ჟურნალ „მონადირის“ გამოცემა, გამოჩნდა ფილოლოგიის დოქტორის, ენათმეცნიერ გიგი ხორნაულის მონადირული ჩანაწერების ბეჭდვა. ეს უკვე პროფესიონალური ნადირობა იყო, მართალია არა ჯუნგლებში, არამედ ცადაწვდილ ჭიუხებში, ციცაბო ქარაფებში, თოვლით ამოლესილ ხევებში – ჯიხვის, დათვის, ტახის საბრძანებლებში... ამ დიდებულ მოგონებებში ერთმანეთთან ორგანულად იყო გადაწნული მწერლური ნიჭი, მშობლიური ბუნების ცოდნა და თავდავიწყებით სიყვარული. ამიტომაც შეიყვარა ისინი მკითხველმა.

რევაზ ინანიშვილი: „ბიჭო, შე ღმერთგამწყრალო, ჩემი ბიჭები ისე ვერ იძინებენ, თუ შენი „შვლის ცრემლი“ არ წავუკითხე. ეგ იცი, რას ნიშნავს?! ეგენი წერე, შენ სხვა არაფერი არ გინდა“. ზვიად გამსახურდია: „ბატონო გიგი, ჩემს შვილებსაც და მეც, ძალიან მოგვწონს შენი „მონადირული მართალი“, ერთადერთი, რაც არ მოგვწონს ის არის, რომ ცოტაა“.

მუხრან მაჭავარიანი: „დიდი მადლობა გიგი ხორნაულს მონადირული მოთხრობების დაბეჭდვისთვის. ამ ბოლო წლებში ასეთი სიამოვნებით არაფერი წამიკითხავს...“

ახლახან ახალი კრებული მიიღო მკითხველმა – „მონადირული სიზმრები“ 35 მოთხრობით. განმარტოვდით, მოიცალეთ ყოველდღიური საზრუნავისგან და ჩაუჯექით, რამდენიმე საათი, რაც ამ წიგნის წასაკითხად დაგჭირდებათ იქ ფშავ-ხევსურეთის, თრუსის, ქისტეთის, ინგუშეთის მთებსა და ხეობებში, კარელიის უკიდეგანო ტყეებში ჰპოვებთ მყუდროებას, გაეცნობით ნამდვილ ცხოვრებას. იქ არც დროა და არც ადგილი თვალთმაქცობის, ფარისევლობის, სიყალბისა და სიცრუისა, იქ თქვენ იხილავთ ყველაზე დიდ მშვენიერებას – პირველყოფილ ბუნებას, ადამიანურ ურთიერთობებს, ურომლისოდაც არც ნადირობას აქვს ფასი.

კარგი მონადირე ყოველთვის ფასობდა მთაში. „კარგ ყმებზე ითხზვებოდა ლექსები, სიმღერები (გახსოვთ **„ვეფხი და მოყმე“, „ჯარჯი ნუ ჩასდევ ჯიხვებსა“**...). რა ლამაზად აქვს ნათქვამი მირზა გელოვანს: **„მე დედაშენს ვერ ვუამბობ შესაწუხარს, ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება, ვეტყვი რომ შენ წაიქეცი როგორც მუხა, როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება...“**

გიგი ხორნაული კარგი ქართულით, კარგი მწერლური ენით, რომელსაც ძალიან უხდება ფშავ-ხევსურული დიალექტებიდან შესრუტული ელვარე სამეტყველო ნიუანსები, აღგვიწერს ნადირთა ჩვევებს, ნადირთა დევნის სირთულეს და ამ სირთულის დაძლევის ოსტატობას, მხატვრული ფოტოგრაფის თვალით გვიხატავს სამშობლოს ულამაზეს ბუნებას, მისი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას. ის მთელი არსებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ფშავ-ხევსურეთთან და უშურველად ემსახურება მას.

„დათვმა კი დამინდო“, „ქიჭვლის კლდეზე“, „კილდოვნის პირმზითში“, „მონადირის ცოდვა“, „ჯიხვები და იხვები“... იკითხეთ და ისიამოვნეთ!

მაგრამ წლეულს მხოლოდ ამ მონადირული, კრებულით როდი დაგვამახსოვრა თავი ბატონმა გიგიმ. **„სისხლში ნაწრთობი“** ჰქვია მოთხრობათა მეორე კრებულს, რომელმაც ასევე ახლახან იხილა მზის სინათლე და დამსახურებულად მოიმკა მკითხველის მოწონება, სხვათა შორის, ამ „არასამონადირეო“ კრებულში რამდენიმე მოთხრობას მაინც აქვს მონადირული „განხრა“, რაც თავისებურ „პილპილს“ მატებს მას.

უთუოდ დაგამახსოვრდებათ **„შვინტლიკა“, „ცხვარ-მეცხვარე“, „სისხლით ნაწრთობი“, „ქორია“, „ბეჩავი“, „ცარიელი კასეტები“, „ექსკურსია“, „შვლის ცრემლი“, „დათვი“**... ეს ერთგვარი „ეთნოგრაფიული“ მოთხრობებია მთიელი კაცის მძიმე შრომასა და ყოფაზე, სიყვარულზე, ვაჟკაცობაზე, ერთგულებასა და გაუტეხლობაზე.

ერთი სიტყვით, ცნობილმა ფილოლოგმა, მწერალმა და მონადირემ გიგი ხორნაულმა ხელხვავიანად აღნიშნა თავისი დაბადების 80 წლისთავი, თუმცა არა მხოლოდ – მხატვრული კრებულებით. საქმე ის არის, რომ იგი რამდენიმე ათეული წელიწადი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. 70-80-90-იან წლებში ფეხით მოიარა და აღწერა საქართველოს აღმოსავლეთი მთიანეთი: ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი, პანკისის ხეობა, ხევი (ყაზბეგის რაიონი)...

როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრო. ამ აღწერების შემდეგ განვლილ ხანში მთა თითქმის დაცარიელდა. ხალხის წასვლას წაჰყვა ის მიკროტოპონიმიც, რომელიც დღეს მხოლოდ აღწერათა საარქივო ბარათებშიღაა დაფიქსირებული, გადარჩენილია ის უძვირფასესი სახელები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ თავის მიწა-წყალს. ამიტომ უწოდებენ ტოპონიმიკას „მიწის წიგნს“

გიგი ხორნაული





„მიწის პასპორტს“. ტოპონიმები ამტკიცებენ, ესა თუ ის მთა და მდინარე ვის ეკუთვნოდა ძველი დროიდან მოყოლებული. ჩვენს დაცლილ ნასახლარებში შეიძლება ვინმე უცხოტომელი, უცხო ჯიშისა დასახლდეს, დაარქვას თავისი სახელები, მაგრამ აღსადგენი საბუთი თავისას გაიტანს.

„სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ ეგიდით ზედიზედ გამოიცა გიგი ხორნაულის ნაშრომთა 2 ტომი: **„ფშავი“** და **„ხევსურეთი“**, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტოპონიმთა ჩაფიქრებული 6 ტომიდან. ავტორს გამოსაცემად კიდევ მზად აქვს „მთიულეთ-გუდამაყარი“, „თუშეთი“, „პანკისის ხეობა“ და ყაზბეგის რაიონი (ხევი), დაწყებული აქვს მუშაობა „ერწო-თიანეთზე“.

ტომეულების საერთო რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი **ავთანდილ არაბული,** ტექნიკური რედაქტორი – **ნანა კოტეტიშვილი**.

ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადების 80 წლისთავს ვულოცავთ ხელხვავიან მწერალსა და მეცნიერს, მუხლმაგარ მონადირეს გიგი ხორნაულს და კიდევ მრავალ გამარჯვებას ვუსურვებთ.

ალეკო ასლანიშვილი

ახალი დიზაინის მოდერნიზებული ვაგონები თბილისის მეტროში

მეტროს მოძრავი შემადგენლობის განახლებისა და მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში თბილისის სატ-

რანსპორტო კომპანია თბილისის მერიის მხარდაჭერით მეტროს ვაგონების მოდერნიზებას აგრძელებს.

2017 წელს კომპანია მგზავრებს სრულიად ახალი ფორმისა და დიზაინის მოდერნიზებულ ვაგონებს სთავაზობს, რომელთა განახლება სატრანსპორტო კომპანიის მფლობელობაში არსებული ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში მოხდა. მოდერნიზაციის ფარგლებში, შეიცვალა მემანქანის კაბინის ფორმა და გაიზარდა მისი მოცულობა, რამაც შექმნა დამატებითი სივრცე მემანქანის კაბინა აღიჭურვა თანამედროვე ტიპის მართვის პულტით. ასევე შეიცვალა ვაგონების გარე და შიდა დიზაინი და ფერები. სალონში ძველი სანათები ახალი, დიოდური სანათებით შეიცვალა, ვაგონებში დამონტაჟდა შიდა დაკვირვებისა და გარე, ბაქანის საკონტროლო კამერები. მგზავრების კომფორტისთვის, ვაგონებში განთავსდა სპეციალური მონიტორები და მობილური მოწყობილობების დასატენი USB შესაერთებლები. ძველი ტიპის მექანიკური, კონტაქტორული დეტალები სრულად შეიცვალა თანამედროვე სტანდარტების მიკროპროცესორული სქემებით აღჭურვილი კვანძებით.

ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში ახალი ვაგონები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დაათვალიერა.

დავით ნარმანიას განცხადებით, ეს არის პირველი მატარებელი, რომელსაც სრული მოდერნიზაცია ჩაუტარდა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ის, რომ მატარებელი ახალი მეტროსადგურის გახსნისთანავე შევა ექსპლუატაციაში.

„შაჰტახტის დედაციხის“ მონაკვეთზე არქეოლოგიური სამუშაოები დასრულდა

თბილისის მერი დავით ნარმანია მერის მოადგილესთან ნინა ხატისკაცთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან და არქეოლოგიური საბჭოს წევრებთან ერთად, „შაჰტახტის დედაციხის“ მონაკვეთზე დასრულებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს გაეცნო. ადგილზე ის სტუდენტებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც არქეოლოგიურ გათხრებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ჩატარებული გათხრების შედეგად, აღმოჩენილია XI-XII საუკუნის სამეურნეო ნაგებობები, თონე და ქვევრები.

თბილისის მერის განცხადებით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მნიშვნელოვანი ისტორიული ნიმუშები იქნა ნაპოვნი, რომლებიც შემდგომ კვლევას დაექვემდებარება და გადატანილი იქნება ეროვნულ მუზეუმში.

არქეოლოგიური კვლევების განხორციელება „წმ. 40 სებასტიელ მოწამეთა“, „საჯოგისა“ და „თრელიგორების ნასახლარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წელს დაიწყო. 2016 წლის მარტში კი არქეოლოგიური სამუშაოები „შაჰტახტის დედაციხისა“ და „თრელიგორების ნასახლარის“ მიმდებარედ განახლდა.

პეტრო პოროშენკო პროვოკაციულ ანკესზე წამოაგეს!

გავლენიანი ფრანგული გამოცემა „Le Figaro“ მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში ჩასვლას იზაბელ ლასერის სტატიით ეხმაურება, რომლის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

ძართული და უკრაინული პოლიტიკუმები მიხეილ სააკაშვილს არ ღებულობენ მისი პოპულარობისა და რადიკალური შეხედულებების გამო. მიუხედავად ამისა, ექსპრეზიდენტი და ექსგუბერნატორი აშშ-ს სადაც მას ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავს, პოლიტიკური თავშესაფარს მაინც არ სთხოვს. რატომ? იმიტომ, რომ ისეთ ადამიანებს, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და ფონდებში მუშაობა არ შეუძლიათ. მათთვის აუცილებელია პოლიტიკური სივრცე საკუთარი ამბიციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, აშშ-სთან მიხეილ სააკაშვილს უსიამოვნო მოგონებებიც აკავშირებს: როცა მისი პარტია საქართველოში საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, თვითონ კი პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ ჯერ ბრიუსელში, შემდეგ კი ნიუ-იორკში წასვლა მოუწია, იგი იძულებული გახდა მხოლოდ ლექტორის ამპლუით, ინტერვიუებით და ბანკეტებით დაკმაყოფილებულიყო, რაც ამბიციური ექსპრეზიდენტისათვის ნაკლებად პრესტიჟული როლი აღმოჩნდა. მან მოიწყინა და როგორც კი კიევში ამბები დატრიალდა, იგი უკრაინაში ჩავიდა.

„ღირსების რევოლუციამ“ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური ახალგაზრდობა დაუბრუნა. როცა თავის უნივერსიტეტელმა მეგობარმა, პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ იგი ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა, ექსპრეზიდენტს სურდა ეჩვენებინა, რომ უკრაინაშიც არის შესაძლებელი გარდაქმნები და რომ საბჭოთა მოდელი არსებობის ბოლო დღეებს ითვლის. უკრაინაში დაბრუნებით მიხეილ სააკაშვილს შორსმიმავალი გეგმები აქვს: მას უნდა პეტრო პოროშენკო პროვოკაციულ ანკესზე წამოაგოს. მისი ამბიციები არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქალაქეობით, ჰორიზონტზე იგი უკრაინის პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის სავარძელს ხედავს.

რამდენად პოპულარულია მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში, რომ ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტზე ჰქონდეს პრეტენზია? ჯერჯერობით ამის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ აშკარაა, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილის შესახებ უკრაინაში ყველა ლაპარაკობს, ზოგიერთი კი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ მას შეუძლია.

„Le Figaro“ (საფრანგეთი)

„ტიმოშენკო და სააკაშვილი თანამდებობებს ინაწილებენ“...

„გაზეთში ამ სტატიის დაბეჭდვის მომენტში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ამბები ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ფაქტია, რომ იგი უკრაინაში დაბრუნდა, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძნელია. ერთში კი პოლიტოლოგები თანხმდებიან, რომ სიტუაციამ პოლიტიკური ძალების განლაგებაზე გავლენა უკვე მოახდინა. ბევრმა გაიხსენა 2003 წლის მოვლენები, როცა არცთუისე ცნობილი ვიქტორ იუშჩენკო იმის გამო, რომ დონეცკში ხელისუფლებამ არ შეუშვა, იგი ეროვნულ ლიდერად გადაიქცა“, – ნათქვამია რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს მიერ ტატიანა ივუნკოს ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში.

სტატიაში ქრონოლოგიურადაა განხილული ის მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი მომხრეების მიერ უკრაინის საზღვრის დარღვევას: მოქალაქეობის ჩამორთმევა, საქართველოს თხოვნა ექსპრეზიდენტის დაკავებისა და ექსტრადიციის თაობაზე, მიხეილ სააკაშვილის განცხადება უკრაინაში დაბრუნების თარიღთან დაკავშირებით... ჯერ ავტობუსით, შემდეგ მატარებლით უკრაინაში შესვლის მცდელობები...

„მიხეილ სააკაშვილი ცოლ-შვილთან ერთად იყო, მას გარს ეხვეოდნენ მხარდამჭერები და ჟურნალისტები. აქტიურობით გამოირჩეოდა იულია ტიმოშენკო, რომელიც მუდამ მიხეილ სააკაშვილის მხარდამხარ იდგა. რაც შეეხება პეტრო პოროშენკოს, იგი ანტიტერორისტული ოპერაციის ერთ-ერთ მონაწილეს – უკრაინის გმირ ევგენი მოჟვეკინს ეწვია, ახალი ბინის მიღება მიულოცა და მასთან ერთად „ნოვოსელიე“ და ტანკისტის დღე აღნიშნა. პრეზიდენტმა სურათიც გადაიღო ბავშვებთან და არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია საზღვარზე მიმდინარე მოვლენებისთვის.

ექსპერტების აზრით, პოლიტიკოსს, რომელსაც ბოლო დრომდე უიღბლოდ მიიჩნევდნენ, სახელმწიფოს მეთაურს პირდაპირ კონკურენციას ვერ გაუწევდა. მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში იმ ვადით არ უცხოვრია, რომელიც პრეზიდენტის არჩევნებისთვისაა დადგენილი, თუმცა პრეზიდენტის გუნდმა ჩათვალა, რომ ვაითუ ექსგებერნატორის აქტიურობა გაიზარდოსო და პეტრო პოროშენკოს მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ურჩია – **„ახლა ზაფხულია, ხალხი შვებულებებშია, აგარაკებზეა და ბოსტნის მოვლით არიან დაკავებული. შემოდგომისთვის კი ექსგუბერნატორის მოქალაქეობა აღარავის არ გაახსენდებაო“.**

მაგრამ სინამდვილეში პირიქით გამოვიდა. მოქალაქეობის ჩამორთმევით მასმედიის ყურადღება მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიისადმი გაიზარდა. იმ ხალხის პარტიულ კუთვნილებას თუ შეხედავთ, რომლებიც საზღვარზე მიხეილ სააკაშვილს ხვდებოდნენ, იქ მხოლოდ ანტიკორუფციული მოძრაობისა და რამდენიმე წვრილი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახვა არ შეუძლიათ და ამიტომ მზად არიან, ექსგუბერნატორის პარტიას შეუერთდნენ. მაგრამ ყველაზე მთავარი, ექსპერტების თქმით, ისაა, რომ არაა გამორიცხული მიხეილ სააკაშვილისა და იულია ტიმოშენკოს კავშირი. უკრაინის ყოფილი პრემიერი და მისი პარტია „ბატკივშჩინა“, გამოკითხვების თანახმად, დღეს პოპულარულია და, პოლიტიკური რეიტინგის მიხედვით, ლიდერის როლს ასრულებს.

* * *

„ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტს ერთ-ერთმა უკრაინელმა ექსპერტმა სიტუაციის განვითარების სცენარი აუხსნა: **„იულია ტიმოშენკოს პრეზიდენტობა სურს, მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი იქნება, თუმცა ამისათვის აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი პარტიის გაყვანა და მმართველი კოალიციის შექმნა. დღემდე ეს ამოცანა შეუსრულებელი ჩანდა, ახლა კი ხელისუფლება ოპოზიციას მიზნის მიღწევაში ეხმარება“.**

* * *

მიხეილ სააკაშვილის თემა სხვა რუსულ გაზეთებშიც ფიგურირებს. „Коммерсантъ“-ში გამოქვეყნებულია სტატია **„მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის საზღვარი გაარღვია“** (ავტორები – კირილ კრივოშეევი და იანინა სოკოლოვსკაია), რომელშიც დეტალურადაა გადმოცემული 10 სექტემბერს პოლონეთ-უკრაინის საზღვართან განვითარებული მოვლენები, ციტირებულია იმ დეპუტატების გამონათქვამები, რომლებიც თან ახლდნენ მიხეილ სააკაშვილს.

ახლა თავისი სიტყვა უნდა თქვას უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ: თბილისი მოთხოვნის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი სულ მალე უნდა დააპატიმრონ და უკრაინიდან საქართველოში გაგზავნონ – ანუ მოხდეს მისი ექსტრადირება“, – ამბობს „კომერსანტის“ კორესპონდენტთან უკრაინის სასაზღვრო სამსახურის ინკოგნიტო წარმომადგენელი. მისი თქმით, კიევში საქართველოს ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იქნება აღძრული საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო რამდენიმე პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით“ (წყარო: – https://www.kommersant.ru/doc/3407715)

კლინტონის პრეზიდენტობა აღარ უნდა

ყოფილი სახელმწიფო მდივნის თქმით, ის პოლიტიკური კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. კითხვაზე, თუ რამ განაპირობა 2016 წლის არჩევნებში მისი დამარცხება, კლინტონმა განაცხადა, რომ მისი მთავარი შეცდომა სამსახურებრივი საქმიანობისთვის პირადი ფოსტის გამოყენება იყო, რამაც მისი იმიჯი საგრძნობლად დააზარალა.

მაიამის ცენტრალური ქუჩები წყალში აღმოჩნდა

ფლორიდაში, ქალაქ მაიამის ცენტრალური ქუჩები ქარიშხალ „ირმას“ გამო წყალში აღმოჩნდა. ქარის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღწევდა. ენერგეტიკულმა კომპანია FPL-მა განაცხადა, რომ შტატის მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილია 3 მილიონი ადამიანი.

ჰოლივუდის მსახიობებმა დაზარალებულთა ფონდი შექმნეს

ქარიშხალ „ირმას“ შედეგად დაზარალებულებისთვის საქველმოქმედო ფონდი შეიქმნება. ფონდში თანხას ჰოლივუდის ვარსკვლავები გადარიცხავენ. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების სურვილი უკვე გამოთქვა ქეით უინსლეთმა.

დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო აქცია

ლოს ანჯელესში დონალდ ტრამპის საემიგრაციო პოლიტიკა გააპროტესტეს. მიტინგი ქალაქის ცენტრში გაიმართა. დემონსტრანტებმა აშშ პრეზიდენტი რასიზმსა და ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულეს. აქციაში ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მანიფესტანტების უკმაყოფილება თეთრი სახლის ლიდერის იმ გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც ობამას დროს მიღებული საემიგრაციო პროგრამა გაუქმდება. ყოფილი პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, აშშ-დან იმ ბავშვების დეპორტაციას კრძალავს, ვინც მშობლებმა ქვეყანაში არალეგალურად, მცირეწლოვან ასაკში ჩამოიყვანეს.

რუსეთის არჩევნებში ელექტორატის დაბალი აქტივობა იყო

რუსეთში ერთიანი არჩევნები ამომრჩევლის დაბალი აქტივობის ფონზე ჩატარდა. მოქალაქეები ირჩევდნენ გუბერნატორებს, ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების წევრებს, მუნიციპალურ დეპუტატებს და სახელმწიფო სათათბიროს ორ დეპუტატსაც. მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ როგორც პარტიიდან წარდგენილ კანდიდატებს, ისე დამოუკიდებელ კანდიდატებსაც.

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის გიორგი სამანიშვილის განცხადებით, რთველის პროცესი ორგანიზებულად და შეუფერხებლად მიმდინარეობს.

„ყურძნის დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 2,6 ათას ტონას მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაში შევიდა. 11 სექტემბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 18.6 ათასი ტონა ყურძენი. მევენახეებმა ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლების სახით უკვე 18 მლნ-მდე ლარი მიიღეს. ღვინის ექსპორტის ზრდა იმის წინაპირობაა, რომ ყურძნის ფასი იყოს მაღალი და გაიზარდოს მევენახეების შემოსავალი, რაც დაფიქსირდა კიდეც 2017 წლის რთველის პროცესში“, – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა, ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 132 ღვინის კომპანია, ყურძნის გადამუშავების პროცესში უკვე ჩართულია 67.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელი – 7,1 ათასი ტონა, სიღნაღი – 4,2 ათასი ტონა, თელავი – 2,7 ათასი ტონა, გურჯაანი – 1,9 ათასი ტონა, დედოფლისწყარო – 1,7 ათასი ტონა, ახმეტა – 628 ტონა, ლაგოდეხი – 300 ტონა და საგარეჯო – 193 ტონა.

მთლიანი გადამუშავებული ყურძნიდან 7 ათასი ტონა რქაწითელი, 9,3 ათასი ტონა საფერავი, 828 ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
	შპს "დივიეს"-ი	გარდაბნის რ-ნი სოფ.ყარაჯალარი	551 189 066	საყოფაცხოვრებო- 16000 არასაყოფაცხოვრებო-936000	საყოფაცხოვრებო -26.38 თეთრი არასაყოფაცხოვრებო - 66.00 თეთრი-79.00 თეთრი

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ ნომერი, მობ. ომერი ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ. მ)	„მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
	შ.პ.ს. „დიდი დიღომი”	ქ. თბილისი მირიან მეფის ქ.11	2 53-34-36	არასაყოფ – 800000 საყოფაცხ – 12700000	არასაყოფ – 90,381 საყოფაც – 27,432

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ჭიდაობა

თითო ათეული...

ელადის დედაქალაქში დამთავრდა ჭაბუკ მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს „თავისუფალთა“ ნაკრებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა გიორგი გეგელაშვილი (46 კგ), ხოლო გიორგი ჭოლაძეს (42 კგ) მესამე ადგილი ხვდა.

მსოფლიოს პირველობის შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა გეგელაშვილმა ზედიზედ დაამარცხა ბერძენი იოანის მარტიდისი (10:0), აზერბაიჯანელი ტოფიგ ალიევი (6:1) და

ყაზახი ადლან ასკაროვი (10:6), გადამწყვეტი პაექრობა კი ამერიკელ კურტ ნამდი მაკჰენრი ჯუნიორთან დათმო (4:12) და „ვერცხლს“ დასჯერდა.

ჭოლაძემ სტარტზე რუსეთის ნაკრების წევრ რამაზან ბაგავუდინოვს აჯობა – 10:5, მერე კანადელი გრეგორ ედვარდ მაკნეილი დაჯაბნა (10:0), მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე მას მეოთხედფინალში უზბეკი უმიჯონ ჯალოლოვი გადაეღობა (4:6). აზიელი ფინალში რომ გავიდა, ჩვენებური დამამშვიდებელში ჩაება, სადაც ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – ირანელი მეჰდი მერდად ვეისი (6:6-ზე დამატებითი მაჩვენებლებით მოუგო) და თურქი იუსუფ ერიუჩელი (10:0), რამაც „ბრინჯაო“ მოუტანა.

გივი გაგუა

კალათბურთი

არც ისე წვიმს...

თურმე არც ისე სენსაციური ყოფილა წლევანდელი ევრობასკეტზე ქართველთა მიერ ლიტველთა დაჩოქება (სხვათა შორის, ამ სეზონში უკვე მეორედ).

აგერ ბატონო, ადგნენ არანაკლები საკალათბურთო ტრადიციებით გამორჩეული ბერძნები და, სპანულისის არყოფნის მიუხედავად, სამაგალითო გაკვეთილი ჩაუტარეს ლამის უკვე ფინალისტებად შერაცხილ ბალტიისპირელებს. თანაც, აღსანიშნავი იცით რა არის – ახალგაზრდა მეტოქეებს კლასიკურად გაუსწორდნენ ელადელთა ძველი გვარდიის ღირსეული წარმომადგენლები სლუკასი, კალატესი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბურუსისიც კი, რომელმაც მრისხანე ვალანჩიუნასის წინააღმდეგ ბრძოლაში ფარქვეშაც ივაჟკაცა და პერიმეტრიდანაც, როცა კრიტიკულ სიტუაციაში სამქულიანი ჩააგდო.

რადგან ზემოთ „ჯვაროსნები“ ვახსენეთ, დავძენთ, რომ გუნდის კაპიტან ზაზა ფაჩულიას მსგავსად, შესაძლებელია, სანაკრებო კარიერა გიორგი ცინცაძემაც დაასრულოს. ყოველ შემთხვევაში, „ბუმ“ ამის თაობაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე სტუმრობისას პირადად განაცხადა. სხვათა შორის, როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ ჩვენებურთა ბერძენ თავკაც ილიას ზუროსსაც არ მიუღია, მანუჩარ მარკოიშვილი და დუდა სანაძე კი საკლუბო კარიერას, შესაბამისად, იტალიური „სერია-ა“-ს წარმომადგენლებში – „რეჯიო ემილიასა“ და „პისტოიაში“ გააგრძელებენ. თუმცა, ახლა კი, მოდით, სტამბოლში მიმდინარე ფორუმს დავუბრუნდეთ.

უკვე მერამდენედ იყოჩაღა ბუნდესნაკრებმა, რომელმაც სამშობლოში ფრანგები გაისტუმრა. შესვენებამდე დე კოლო, დიაო და ფურნიე წარმატებით უმკლავდებოდნენ გერმანელთა ლიდერ შრიოდერს, მაგრამ მისი გააქტიურების შემდეგ სარბიელზე მოვლენები განსხვავებული სცენარით განვითარდა და ყველაფერი ჩვენს ძველ ნაცნობთათვის სასიკეთოდ დასრულდა.

არანაკლებ შთამბეჭდავად ითამაშეს სლოვენიამ, ლატვიამ, იტალიამ და, განსაკუთრებით, რუსეთმა, რომელმაც კაშკაშა ვარსკვლავის – ალექსეი შვედის ძალისხმევით (27 ქულა, 12 შედეგიანი გადაცემა) მეორე ტაიმში ამბიციური ხორვატები დაანოკაუტა.

მერვედფინალები

სლოვენია – უკრაინა 79:55, გერმანია – საფრანგეთი 84:81, იტალია – ფინეთი 70:57, საბერძნეთი – ლიტვა 77:64, ლატვია – მონტენეგრო 100:68, სერბეთი – უნგრეთი 86:78, ესპანეთი – თურქეთი 73:56, რუსეთი – ხორვატეთი 101:78.

მეოთხედფინალები

დღეს: სლოვენია – ლატვია, ესპანეთი – გერმანია.

ხვალ: საბერძნეთი – რუსეთი, იტალია – სერბეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

სამგზო

აკედემიური გამოცდა მსოფლიოს წინ

ძიუდოს აკადემიის დარბაზში მესამედ გაიმართა სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ არჩილ ჩოხელის მემორიალი. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი იბრძოდა ცხრა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებისთვის. შესანიშნავად იასპარეზეს მასპინძლებმა, რომლებმაც 36-დან 20 მედალი დაისაკუთრეს, მათ შორის – ექვსი ოქროსი, ოთხი ვერცხლისა და ათი ბრინჯაოსი. 57 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში სულაც ქართული ფინალები გაიმართა. 57 კილოში გენადი ჩირგაძემ ირაკლი კუპატაძეს სძლია, 100-ში კი დავით ლორიაშვილმა გიორგი კობაძეს აჯობა.

ქართველთაგან ყველა შეხვედრა მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გენადი ჩირგაძე (57 კგ), თორნიკე ჭოველიძე (62), მინდია ლილუაშვილი (68), ზაურ გაგნიძე (82), თორნიკე ჯუღელი (90) და დავით ლორიაშვილი (100). მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ გივი ნადარეიშვილი (52), ირაკლი კუპატაძე (57), გიორგი კობაძე (100) და გიორგი ზაქარიაძე ((100), ხოლო დიმიტრი მულაძე, გიორგი მირუაშვილი (ორივე-52), პაატა მერებაშვილი, საბა გრიგალაშვილი (ორივე-62), ზვიად ოდოშაშვილი (68), ზვიად კაპანაძე (74), ნიკო კუცია, ბესარიონ ბერულავა (ორივე-82), ბექა მიკუტაშვილი (90) და დავით ოზბეთელაშვილი (100) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გამარჯვებულები და პრიზიორები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა და საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ ცინცაძემ დააჯილდოვეს. ახალგაზრდა მხატვრის – ლუკა პატარქალაშვილის მიერ ლამაზი ჭიდაობისთვის დაწესებული სპეციალური თასი ლუკას პაპამ – გელა პატარქალაშვილმა 68 კილოში მესამე ადგილზე გასულ ზვიად ოდოშაშვილს გადასცა. ბატონი გელა დიდი ხანია, ტიხორეცკის რაიონში ცხოვრობს. იყო იქაური ძიუდოს და სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორი. ამჟამად საზოგადოება „ჭიდაობა სამბო 2017-ის“ ჩამოყალიბებას, მასში რუსეთში მოღვაწე ქართველობის გაერთიანებას და მათი მეშვეობით საქართველოში სპორტის ამ სახეობისთვის ხელშეწყობას აპირებს.

ავთანდილ ცინცაძე: არჩილ ჩოხელის საერთაშორისო მემორიალს 2016 წელს B კატეგორია მიანიჭეს. სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და დახმარებით შარშან და წლეულს ეს ტურნირები მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩავატარეთ, ამიტომ სამბოს საერთაშორისო ფედერაციის ძალისხმევით ის მალე A კატეგორიისა გახდება. რაც შეეხება ამჟამინდელ შეჯიბრებას, ეს არის ჩვენი სპორტსმენების შესაძლებლობების კიდევ ერთი შემოწმება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც ნოემბერში სოჭი უმასპინძლებს, ახალგაზრდები და ჭაბუკები კი ოქტომბრის მიწურულს სერბეთში იბრძოლებენ მსოფლიოს პირველობის მედლებისთვის.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: საქართველოში სამბოს სკოლას კარგი ისტორია და მდიდარი ტრადიცია აქვს. საერთაშორისო სარბიელზე არაოლიმპიურ სახეობებს შორის სწორედ სამბოში მივაღწიეთ უნიკალურ შედეგებს. ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენი გვყავს. არა მარტო წარსულით, არამედ აწმყოთიც ვიწონებთ თავს. უფროსების დარად, ჩვენი ახალგაზრდა და ჭაბუკი სამბისტებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ მსოფლიოში. სასიხარულოა ისიც, რომ ამ სახეობაში საკმაოდ დაწინაურდნენ ქართველი გოგონები – უკვე ევროპის ჩემპიონები და პრიზიორებიც უმშვენებენ ბიჭებს მხარს, ამიტომაც სპორტის სამინისტრო ყოველმხრივ ეხმარება სამბოს ეროვნულ ფედერაციას და თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება. ეს არ არის შემთხვევითი: მინსკში მეორე ევროპული თამაშების პროგრამაში სამბოცაა შეტანილი, რაც ამ სახეობის პერსპექტივაზე მიუთითებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ფედერაციას და სპორტსმენებს მიზნის მისაღწევად შესაბამისი პირობები ჰქონდეთ. არჩილ ჩოხელის მემორიალის პოპულარიზაციასაც იმიტომ ვეშურებით, რომ სამბო უფრო მასობრივი გახდეს საქართველოში. წლევანდელ ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, იმის მიუხედავად, რომ ამ შეჯიბრებას აზიური თამაშები დაემთხვა და რამდენიმე ქვეყანამ ჩამოსვლა ვერ შეძლო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სპორტსმენები ამ ტურნირზე მიღწეულ შედეგებს წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატებში გაამყარებენ.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: გელა პატარქალაშვილი ზვიად ოდოშაშვილს აჯილდოებს
ალექსანდრე პოტორაშვილის ფოტო

ჩოგბურთი

ესეც მე-16!

ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა კარიერაში მეთექვსმეტე დიდი სლემის ტურნირი მოიგო. მან ამერიკის ღია პირველობის ფინალში სამხრეთაფრიკელი კევინ ანდერსონი მარტივად 6:3, 6:3, 6:4 დაამარცხა. შეხვედრა 2 საათსა და 30 წუთს გაგრძელდა. ნადალმა 9 შესაძლებლობიდან 4 ბრეიკი შეასრულა, ხოლო ანდერსონს მთელი თამაშის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია. ანდერსონმა 40 შეცდომა დაუშვა, ხოლო ნადალმა – მხოლოდ 11.

რაფამ ამერიკის ღია პირველობა მესამედ მოიგო (2010, 2013, 2017), კარიერაში კი 74-ე ტიტული მოიპოვა. ამ მაჩვენებლით რაფა ლეგენდარულ ავსტრალიელ როდ ლეივერს გაუთანაბრდა და მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს.

2017 წელს ისე მოხდა, რომ ოთხი დიდი სლემის ტურნირი ფედერერმა და ნადალმა გადაინაწილეს. როჯერმა უიმბლდონზე და ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, ხოლო ნადალმა როლან გაროსი და ამერიკის ღია პირველობა მოიგო. მსგავსი რამ ისტორიაში ოთხჯერ მოხდა (2006, 2007, 2010, 2017).



ესპანელმა ამ გამარჯვებით 3.7 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა, ანდერსონმა კი – 1.8 მილიონი დოლარი.

ქალები. ფინალი. სლოან სტივენსი (აშშ) – მედისონ კიზი (აშშ) 6:3, 6:0.

გიორგი შოთაძე

ადამიანის სამყარო

„სიყვარულო, ძალსა შენსა...“

როგორ ვპოულობთ ცხოვრების მეგზურს

მაინც რატომაა, რომ ვიღაც გონების დაკარგვამდე გვიყვარდება? რა თვისებებს აფასებენ მამაკაცები და ქალები ერთმანეთში? სიყვარულთან დაკავშირებულ ამ და კიდევ ზღვა სხვა კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემას კაცობრიობის ბრწყინვალე წარმომადგენლები – მეცნიერები, სწავლულები, მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები, ფილოსოფოსები ოდითგანვე ცდილობენ...

ამბობენ, რომ ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ადამიანები, ხშირად ადვილად პოულობენ საერთო ენას, თუმცა კი მეცნიერები ერთხმად უარყოფენ ამ მოსაზრებას. სპეციალისტების აზრით, პოტენციურ პარტნიორში თითოეული ჩვენგანი, პირველ ყოვლისა... საკუთარ თავს ეძიებს. სწორედ საკუთარ სახესთან გარეგნული მსგავსებაა იმის მიზეზი, რომ მანამდე უცნობი ადამიანის ნაკვთები უცბად მშობლიური და სასიამოვნო გვეჩვენება. შემთხვევითი როდია, რომ დიდი ხნის თანაცხოვრების შემდეგ, ცოლ-ქმარი ხშირად ერთმანეთს ემსგავსება. თანაც საქმე მარტო იმაში სულაც არ არის, რომ წლების შემდეგ ისინი ერთმანეთის მეტყველებასა და მანერებს ბაძავენ. მიზეზი ისაა, რომ ბედნიერ ცოლ-ქმარს საერთო ნაკვთები თავიდანვე ჰქონდათ. ამ მოსაზრების დასადასტურებლად ამერიკელმა მკვლევარებმა აიღეს მრავალწლიან ბედნიერ ქორწინებაში მყოფი ცოლ-ქმრების ფოტოსურათები და მცირედი კორექციით ქალების ფოტოები მამაკაცისებში და პირიქით გადააკეთეს. აღმოჩნდა, რომ ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს!

ამერიკელ კოლეგებს ბრიტანელი მეცნიერებიც ეთანხმებიან. ისინიც დარწმუნებული არიან, რომ ადამიანებს უფრო ისინი მოსწონთ, ვინც მათი ინტელექტის დონეზეა. ამასთან, გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ინტელექტის ერთნაირი დონის (IQ) მქონე ადამიანებს მსგავსი დნკ აქვთ. მათი გენეტიკური კრებსები იმდენად ემთხვევა ერთმანეთს, თითქოს ისინი შორეული ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილები ყოფილიყვნენ.



იმ ვერსიას, რომ ჩვენ ქვეცნობიერად იმისკენ მივილტვით, ვინც გვგავს, მეორე კვლევაც ადასტურებს: ჩეხმა ფსიქოლოგებმა მარტოხელა ადამიანების პრიორიტეტები შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ ბერბიჭებიც და გაუთხოვრებიც, პირველ რიგში იმ ადამიანებს აქცევდნენ ყურადღებას, ვისი გარეგნობა და მანერები მათი გარეგნობისგან და მანერებისგან სრულიად განსხვავდებოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ **სწორედ ასეთმა „არასწორმა“ არჩევანმა შეუშალა ხელი თავის დროზე მარტოხელა ადამიანებს ოჯახების შექმნაში**.

პარტნიორის არჩევისას ჩვენ არა მარტო ბუნებით, არამედ სოციალური სტერეოტიპებითაც ვხელმძღვანელობთ. მაინც როგორები უნდა იყვნენ იდეალური ქალი და იდეალური მამაკაცი? მეცნიერებმა იმ კითხვაზეც გასცეს პასუხი, რისთვისაც მრავალი ქვეყნის 66 ათასი მამაკაცის მონაწილეობით გამოკვლევა ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ **ძლიერი სქესის წარმომადგენლებს თავის გვერდით მომხიბლავი, კეთილი ქალის ხილვა სურთ, რომელსაც უყვარს ბავშვები და ცხოველები, აქვს უმაღლესი განათლება, საინტერესო პროფესია და გატაცება. ამასთან, მას მხიარული ხასიათი და იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, მამაკაცები 160 სანტიმეტრზე მაღალ, არაუმეტეს 60 კილოგრამის წონის, ღია ფერის თვალის მქონე ქერათმიან მანდილოსნებს ანიჭებენ უპირატესობას**. რაც შეეხება მავნე ჩვევებს, ამ მხრივ ქალებს შეუძლიათ ზოგჯერ ალკოჰოლიანი სასმელების მიღება მეგობრების წრეში ან საოჯახო დღესასწაულზე, ხოლო რაც შეეხება თამბაქოს მოწევას, ის „აკრძალვაშია“ მოყოლილი.

არანაკლებ მომთხოვნი აღმოჩნდნენ ქალბატონებიც. მათი აზრით, **იდეალური მამაკაცი 180 სანტიმეტრზე დაბალი არ უნდა იყოს, მას ყავისფერი თვალები და მუქი თმა უნდა ჰქონდეს – ქალების 52 პროცენტს შავთმიანი მამაკაცები მოსწონთ, ქერათმიანებს უპირატესობას კი მხოლოდ მათი 7 პროცენტი ანიჭებს. ურიგო შანსები არც მელოტ და თმაგადახოტრილ მამაკაცებს აქვთ – მიმზიდველად მათ ქალების 13 პროცენტი თვლის. გარდა ამისა, ქალის ყურადღების მისაპყრობად მამაკაცი უნდა იყოს ჭკვიანი, შეძლებული, ჰქონდეს იუმორის კარგი გრძნობა, ცეკვავდეს, ჰქონდეს ხშირი წვერი (ოღონდ ის მოშვებული არ იყოს) და კარგად ეპყრობოდეს... საკუთარ დედას**.

ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიმპათიის წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი, მკვლევართა აზრით, ერთად განვლილი გაჭირვება და საფრთხეა. ამ დროს წარმოშობილი აღგზნება და დაძაბულობა მათ ერთმანეთის მიმართ ლტოლვას უჩენს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

ჯეჯელავა თავისას არ იშლის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალი სასწავლო წლისთვის 260 ათასი ვაშლის შესყიდვას გეგმავს.

სამინისტრომ ვაშლის შესაძენად ელექტრონული ტენდერი შესყიდვების სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდზე უკვე გამოაცხადა.

სატენდერო პირობების თანახმად, ტენდერის მონაწილე უფლებამოსილია, შესთავაზოს შემსყიდველს ერთი ან რამდენიმე ჯიშის ვაშლი, რომლის ერთეულის ფასი უნდა იყოს იდენტური. სხვადასხვა ჯიშის ვაშლის შეთავაზების შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება ექნება, ვაშლის ჯიშები შეცვალოს, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში უზრუნველყოს ერთი ჯიშის ვაშლის მიწოდება, ვაშლი უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის, ფორმა და ფერი ჰქონდეს შესაბამისი ჯიშისთვის დამახასიათებელი, თითოეული არანაკლებ 150 გრამი, საღი, მწიფე, ჭკნობის ნიშნების, მავნებლებისა და მექანიკური დაზიანებების გარეშე, სწორი ზედაპირის.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ იმ სკოლების სიაც გამოაქვეყნა, სადაც ახალი სასწავლო წლიდან კვირაში ერთხელ ვაშლი დარიგდება. ესენია: №161 საჯარო სკოლა, თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, თბილისის №147 საჯარო სკოლა, თბილისის კლასიკური გიმნაზია, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 51 საჯარო სკოლა, ვახტანგ გზირიშვილის სახელობის თბილისის №173 საჯარო სკოლა; თბილისის №180 საჯარო სკოლა, თბილისის №115 საჯარო სკოლა, თბილისის №166 საჯარო სკოლა, კიკნაძის სახელობის თბილისის №182 საჯარო სკოლა.

სამინისტროს წარმომადგენლის მაია მუშკუდიანის თქმით, სკოლებში ვაშლების დარიგება ჯანსაღი ცხოვრების კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქცია იქნება და პროექტში დაახლოებით 20 000 ბავშვი ჩაერთვება.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული მ.მ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.



სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალების 1000 აბი ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნით, 1,897 გრამ ბუპრენორფინს შეიცავს.

დიახ, ოჯახი მუშტით!

დიდი მუშტამკვეთელი ვინმე ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი, შერეულ ორთაბრძოლებში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი რონდა როუზი ის ქალი არაა, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვილად და ერთი ხელის მოსმით რომ მიიღოს, ამიტომაც, სანამ გათხოვდებოდა, დიდი ფიქრიანი და ქარიშხლიანი წლები გამოიარა.

აწ უკვე 30 წლის რონდა შარშან მისსავე კოლეგას, ასევე შერეულ ორთაბრძოლებში ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს, 35 წლის ტრევის ბრაუნს გადაეყარა და მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობაც მაშინვე გაჩაღდა, თუმცა, ტრევისს ჯერ პირველ ცოლთან (რომელთანაც 2 შვილი ჰყავს) ჰქონდა სასამართლო დავები და სერიოზული ურთიერთობისათვის უბრალოდ არ ეცალა.

ახლა კი, რაკი ტრევის ბრაუნი ჩიტივით თავისუფალია, რონდა როუზმა ამოდენა ოყლაყი მმაჩის ბიუროში კოხტად შეიტყუა და ზედ ისეთი დაშხოშიანი ქორწილიც მიაყოლა – თქვენი მოწონებული. ამ საოცარ წყვილს შორის გაჩაღებული ვნებიანი ამბების წარმოდგენა კი რინგზე სისხლისა და ოფლისღვრის წარმოდგენის ტოლფასი იქნება...

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება

2017 წლის 3 ნოემბერს, 14 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1) გაიმართება ყვარლის მუნიციპალიტეტში „ავანი ჰესის“ და ქ/ს „ახალსოფელი- 35“-ის დამაკავშირებელი 35 კვ-იანი საკაბელო-საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობაში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს საპროექტო ეგხ-ს დერეფნის დაგრძელებას 1,2 კმ მანძილით. აღნიშნული ცვლილება განაპირობა მშენებარე ავანი ჰესის სააგრეგატო შენობის განთავსების ადგილის შედარებით ზედა ნიშნულებზე გადატანამ.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge ;;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ენერგო ინვესტი“-ს
ადმინისტრაცია

პარალელები

სექტემბრის მეორე კვირადღის უკრაინული ძრონიკები

გახსენება

ლენინი და კერენსკი თანასკოლელები იყვნენ,
სააკაშვილი და პოროშენკო – უნივერსიტეტელი თანამერხელები!

თანამერხელ სკოლელების ბრძოლისას,
შეჭიდება ავანტურისტ ორისა,
ერთმანეთს რომ სასიკვდილოდ შეეფსკვნის,
თუკი გვიკბენს ისტორიის რწყილით,
შეგვახსენებს ლენინსა და კერენსკის,
სააკაშვილ–პოროშენკოს წყვილი!

ჩიხში

უკრაინამ არ მიიღო მაგარებელი და „მიხოვიზიელები“ — „რუსთავ-ორის“ საგანგებო კორესპონდენტები, მ.სააკაშვილთან ერთად ერთხანს პოლონეთის სარკინიგზო ჩიხში ჩარჩნენ.

დახშულია გონება,
როცა ღიზი–ღიზია
და ერთ კაცს ემონება
„ნაცთა“ ტელევიზია.
მოდით, მიხოს შეეშვით,
ნუ გვიხსენებთ ხშირ–ხშირად,
იჯდეს მატარებელში,
რომელიც დღეს ჩიხშია!

გამომიხუნება

წავიდა დრო, შოუებით
ნაცი სკამს რომ შოულობდი, –
ეს იმედი გიხუნდება!
გაღმა რითაც იყურები,
ის თვალები, ის ყურები
მალე გამომიხუნდება!

* **გამომიხუნება** –
მიხად ქცევა – გამოსირ-გამოქლიავების ანალოგი

კვირასაღამო

გადალახა საზღვარი და
დღემდე ისევ უკრავს იმას,
რაც ვარიაგ მასხარითა
კვლავ აყრუებს უკრაინას.
ვნახოთ, შემდეგ რა მოხდება
და ვინ რატომ ელის შემკობს,
თუკი სული აღმოხდება
მიხო ბიჭს ან პოროშენკოს?

განწირულის შეკითხვა

ცხოვრებაა ისე დუნე,
უსაქმობა აძაბუნებს
გონებას და მკლავებს.
მიხო– ბიჭი რომ ნეტარებს,
უმუშევრებს, პროლეტარებს
შიმშილით რად გვკლავენ?

რეზიუმე

თავს დააღწევს ხალხი ფსიქოზს
და არ მჯერა ვინმემ გვიქოს,
ვინც ტახტს ორგან ითხოვს!
როცა უტევს ოლიგარქებს,
დედამისს რა სახელს არქმევს,
ბიძამისს რა სახელს არქმევს,
დრო მოდის, რომ კითხონ!

ალექსანდრე შენგელია
2017 წლის 10 სექტემბერი.

მეტი შემოქმედებითი წვა, ბატონებო!

გონების ბრწყინვალე აღმაფრენასა და ფსიქიკის ნევროტულ მდგომარეობაზე ქალა-ტვინის ერთი და იგივე უბანი ყოფილა პასუხისმგებელი, – ესაა ნეიროფსიქოლოგთა გამოკვლევათა ბოლო სენსაციური დასკვნა.

მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ სწორედ ამიტომაცაა, ნიჭიერი ხალხი საფრთხეებს იქაც ხედავს, სადაც ისინი არ არსებობს და პრობლემებსაც, რომ იტყვიან, არაფრისგან ჰქმნიან.

ამიტომაც მეცნიერები გონებაგახსნილ ადამიანებს რაც შეიძლება ხშირად შემოქმედებით ძიებაში ყოფნას ურჩევენ – საქმით დაკავებული ტვინი შესაძლო საფრთხეებს აღარ ეძებს.

რომელი წიგნი სჯობს?



ზოგს ქაღალდის წიგნის კითხვა ურჩევნია, სხვები კი ელექტრონული ვერსიების კითხვაზე გადაერთნენ. მაინც, რას უკავშირდება ეს გარემოება და არსებობს თუ არა განსხვავება ტექსტის აღქმაში წიგნის სხვადასხვა ფორმატში წაკითხვის გამო?

კულტუროლოგთა აზრით, ქაღალდზე ნაბეჭდსა თუ ელექტრონულ ფორმატში მოცემულ წიგნის ვარიანტებს შორის ამა თუ იმ პირის მიერ გაკეთებული არჩევანი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ დროს ატარებდა იგი ბავშვობისას ტელევიზორის ეკრანთან ან პლანშეტთან. ეჭვგარეშეა, რომ ბავშვისთვისაც და ზრდასრული ადამიანისთვისაც აღსაქმელად უფრო იოლია აუდიოვიდეო ინფორმაცია. თანაც, თუკი ბავშვობაში ადამიანს ქაღალდზე დაბეჭდილ ინფორმაციის მატარებლებთან შეხება ნაკლებად ჰქონდა, საეჭვოა, რომ მომავალში კაცმა ვრცელი ტექსტების წაკითხვა თუნდაც ელექტრონულ მატარებლებზეც შეიყვაროს.

აშკარაა, რომ ქაღალდზე ნაბეჭდ და ელექტრონულ ფორმატში მოწოდებული წიგნების აღქმებში განსხვავებებია. ეს გარემოება იმას შეიძლება შევადაროთ, კინოფილმს კინოდარბაზში ვნახავთ თუ შინ ტელევიზორით ვუცქერთ. ქაღალდის წიგნის შემთხვევაში ერთვება ფურცლებთან შეხების შეგრძნება, წიგნთან ასეთი კონტაქტი კი წარმოსახვას ააქტიურებს და ნაწარმოების გმირებს მკითხველისთვის უფრო „ხელშესახებს“ ხდის.

რა გაყვირებს, თუ იცი?...



მამაკაცები ამჯობინებენ, რომ მათი უფროსები ასევე მამაკაცები იყვნენ.

ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ მანდილოსან უფროსთან ურთიერთობისას მამაკაცები დომინირებული მდგომარეობის დაკავებას ცდილობენ, უფრო ხშირად ამჟღავნებენ აგრესიას და არაადეკვატურად მაღალ ხელფასსაც ითხოვენ.

თავისი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას კი მამაკაცები გაცილებით უფრო მშვიდად იქცევიან და არც იმხელა ფინანსური პრეტენზიები აქვთ.

„ფუტკარი როგორც აფთიაქარი...“

თუ იცით, როგორ აკეთებენ ფუტკრები თაფლს?

როგორ და ყვავილებიდან ნექტარს იწოვენ – ესაა ტკბილი სითხე, რომელშიც შაქრის რთული ნაერთებია გახსნილი. ორიდან ერთ-ერთი კუჭით ფუტკარს ნექტარი სკაში გადააქვს, სადაც სხვა ფუტკრები მას საღეჭი რეზინივით ღეჭავენ. დამუშავებულ ნექტარს კი ისინი მერე ფიჭებში ათავსებენ, სადაც ის თაფლად გარდაიქმნება.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკა

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4618; ევრო - 2.9702;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2451;
100 რუბლი - 4.3150; თურქული ლირა - 0.7219;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4507;
1000 სომხური დრამი - 5.1448.

ამინდი 12 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +33
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +37
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +35
თბილისი:	ღამე +20,	დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge